ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

1906 წ.
1. დეკემბერი

ახალი დროება

ორშაბათი

№ 5 ეოველკვირეული გაზეთი № 5

რედაქციის ადრესი:

თბილისი, მიხეილის პროსპექტი, სახ. № 102.
რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე.
კანტორა ხელის-მომწერთათვის ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.
განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე პეტიტით—15 კაპ., უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. უმუშევრობა და უმუშევარნი.—2. კავშირების ცენტრალურ-საბჭო.—3. პროფეს. კავშ. და სოც.-დემ. 3. საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე. ფელეტონი:—4. ლექსი და 5. ანარქიზმი თუ სოციალიზმი.—6. კვირიდან კვირამდე.—7. თბილისი.—8. რუსეთი.—9. სტატისტიკა, წერილები.—10. მოსკოვიდან და 11. წერილი რედაქციის მიმართ.—12. სიტყვის ახსნა.—13. განცხადებანი.

ამ ნომრისათვის დამზადებული სტატიები:—საზღვარგარეთ, ამიერ-კავკასიის ფარმაცევტების სიეზდის შესახებ და სხვა, ადგილის უქონლობისა გამო, გადაიდო.

რედაქცია.

ეოველკვირეული გაზეთი

„ახალი დროება“.

გამოვა ორშაბათობით.

გაზეთის ფასი ხელის-მომწერთათვის:

თბილისში: ერთი წლით	5	მანეთი,	
„ ნახევარი წლით	2	„	50 კაპ.
„ სამი თვით	1	„	25 „
„ ერთი თვით	—		40 „
თბილისს გარეთ:			
„ წლით	6	მან.	
„ ნახევარი წლით	3	„	
„ სამი თვით	1	„	50 კაპ.
„ ერთი თვით	—		50 „
საზღვარ გარეთ:			
„ ერთი წლით	8	მან.	
„ ნახევარი წლით	4	„	
„ სამი თვით	2	„	
„ ერთი თვით	—		80 კაპ.

ცალკე ნომერი ღირს ორი შაური.

მიიღება ხელის მოწერა პროვინციებში, შემდეგ პირებთან:

ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან.
ბათომში—მიხაკო კალანდაძესთან.
ბაქოში—პავლე ჯალაღანიასთან.
ხონში—წიგნის მაღაზია „რუსთაველში“
ფოთში—ლავრენტი ტუღუშსთან.
ხაშურში—ეგნატე შარაძესთან,
ჩოხატაურში—კოტე მაღარაძესთან.
გორში—არჩვაძის წიგნის მახაზიაში.
ოზურგეთში—წიგნის მაღ. „იმედ“-ში.
ლანჩხუთში—შალიკო ცინცაძის წიგნის მაღაზიაში.
ჭიათურაში—ვლადიმერ მოსეშვილთან.
თბილისში—1. წ. მაღაზ. „ოდენა“, სოსიკო მერკვილაძესთან. 2. **სასტუმრო „იალტაში“**, ვასილ კერესელიძესთან, 3. **გოლოვინსკი პროსპექტზე**—წიგნ. მაღ „ნოვაია რეჩ“ ში. 4. **მიხაილოვის ქუჩაზე**—წიგნ. მაღაზ. „ობრაზოვანიე“-ში. 5. **კიროჩნი ქუჩაზე**—ვასილ გადილიას წიგნის მაღაზიაში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოთ აცხადებს, რომ მომავალ ოთხი წლის 1906 - 1910 წ. თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნები 1907 წლის აპრილში მოხდება სამ საარჩევნო ნაწილში, რომელთაგან პირველში შედის 1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილები; მეორეში - 5, 6 და 7 და მესამეში — 8, 9 და 10 საპოლიციო ნაწილები. ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა საარჩევნო სიების შედგენას, რომელშიაც შედის ყველა სახლის პატრონი და ვისაც 1500 მან. ღირებული და მეტი უძრავი ქონება აქვთ და ყველა ვაჭრები და მრეწველები, რომელთაც პირველი რიგის მოწმობები აქვთ აღებული. 1907 წ. თებერვლის დამლევს უკანასკნელათ გამოაქვეყნებენ საარჩევნო სიებს, სადაც შეტანილი იქნებიან ყველა ზემოაღნიშნული ვაჭარ-მრეწველნი, რომელზედაც ნედოიმკები არ ირიცხება, აცნობებს რა ამას ქალაქის გამგეობა იმ აზრით, რომ ამრჩეველთა უმეტესობამ მიიღოს მონაწილეობა, აუწყებს ბბ. სახლის პატრონებს, დროზე გადაიხადონ მათზე დარჩენილი ნედოიმკები.

3—1

უმუშევრობა და უმუშევარნი.

ვინ არიან უმუშევრები? და ვინ, ან რა მოსპობს უმუშევრობას?

პირველ ორ წერილში (ნახე ,,ახ. დრ.'' №№ 3 და 4) ჩვენ გამოვარკვიეთ შემდეგი: 1) უმუშევრობა საერთო, საყოველთაო სოციალური მოვლენაა თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებაში: უმუშევრებით სავსეა არამც თუ თბილისი, კავკასია, მთელი რუსეთი,—არამედ ევროპა, ამერიკა, ,,ბედნიერი'' დემოკრატიული ახალი ზელანდიაც-კი... 2) მიზეზები უმუშევრობისა უმთავრესად სამგვარია: ა) ადამიანის კულტურულათ წინ-წაწევამ საშინლათ გაანაყოფიერა შრომა და თითქმის წარმოების ყველა უმთავრეს დარგებში განავითარა მანქანებით მუშაობა და საზოგადოთ ტეხნიკა,—და ამან ხომ უქმად დაარჩინა ადამიანის ბევრი სამუშაო ძალა; ბ) თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება ანადგურებს საშუალო შეძლების კლასებს, აღატაკებს მათ წევრთა, პროლეტარიატის ,,ჯურღმულში'' ყრის მათ, დაქირავებულ მუშებად ხდის მათ და, ამგვარად, სამრეწველო სათადარიგო ჯარს მუშებისას ადიდებს,—ამრავლებს; გ) ამ სამრეწველო ჯარს კიდევ უფრო მეტი და მეტი უმუშევართა რიცხვი ემატება სამრეწველო კრი-

ზისების დროს, იმ კრიზისების, რომელიც კაპიტალისტურ
მეურნეობის ღვიძლი შვილია, რომელიც დრო-გამოშვებით
მუდამ მეორდება და რამდენათაც წინ მიდის და ვითარდება
კაპიტალისტური სისტემის მეურნეობა, კრიზისები იმდენათ
უფრო საზარელ რისხვათ ატყდება თავს ხალხის უმრავლე-
სობას: ესენი, წინეთ დამოკიდებულნი, წვრილი და საშუალო
მეურნენი, — პროლეტარდებიან—და, რასაკვირველია, რომ
შრომის ბირჟაზე უნდა გაიტანონ ერთათ-ერთი შერჩენილი
საკუთრება—სამუშაო ძალა!..*) მაშ ასე! სათადარიგო ჯარ'.
ემატება, უმუშევართა რიცხვი უთვალავი ხდება... და ეს
არის „ბუნებრივი“ მოვლენაა კაპიტალისტური წესწყობილები-
სა! ვინ მოსპობს ამას? ვინა ან რა უშველის უმუშევრებს?—ჩვენ
ვნახეთ იმავე წერილებში, რომ არც ბურჟუაზია, რაც უნდა
მოლიბერალო და მორადიკალო იყოს ის, და არც მისი მთავ-
რობა (ყველა მთავრობანი-ხომ მისი ყურ-მოჭრილი ყმაა, რო-
გორც გაბატონებული კლასის!) არც მოსპობს და ვერც მოს-
პობს უმუშევრობას, რადგანაც ეს მათი საკვებ-მასაზრდოებე-
ლი ნიადაგია; განა სათადარიგო ჯარის უმისოთ ასე გაადი-
დებდენ თავიანთ სიმდიდრეს სხვა-და-სხვა ჯურის კაპიტალისტე-
ბი—როტშილდ-მანთაშევ-მოროზოვ-სარაჯიშვილები?!! მაშინ,
ხომ მეტი უნდა მიეცათ მუშებისათვის, თითონ ნაკლები მო-
გება დარჩენოდათ, ტეხნიკა არ განვითარდებოდა, კაპიტალი-
სტური ბუნება-კი ამას ვერ იგუებს,—ეს წარმოუდგენელია!..

მაშ, სხვა ვინ დარჩა, რომ მოსპოს უმუშევრობა, მიეშვე-
ლოს უმუშევრებს?—თვითონ მუშები, ყველა მუშები—უმუ-
შევარნიც და სამუშაოზე მდგარნიც; განა სოციალისტურმა
ინტერნაციონალმა მარქსის ხელით არ დააწერა თავის დრო-
შაზე: მუშათა განთავისუფლება თვით მუშების ხელით უნდა
მოხდესო!

როგორ უნდა მოხდეს ეს?

ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტური წარმოება ანარხიუ-
ლია, არეულ-დარეული, უპლანო; კაპიტალისტმა არ იცის,
თუ რამდენი დაამზადოს საქონელი ბაზრისათვის,—ის მხო-
ლოდ იმაზე ცდილობს, რაც შეიძლება, ახალი მანქანით, გა-
უმჯობესებული ტეხნიკით ჩქარა ისარგებლოს, სანამ სხვა კა-
პიტალისტები მოასწრებდენ მის ან კიდევ უფრო გაუმჯობე-
სებულის შემოღებას... ის ცდილობს, რაც გაუვა, ტყავი
გააძროს მუშას, ვაჟი იქნება ის, თუ ქალი, თუნდ მცირე-წლო-
ვანი ბავშვიც... ასეთი ანარხიული წარმოებით ჩნდება კრიზი-
სები, ე. ი. დგება ჟამი, როცა ბაზარი ვერ იტევს საქონელს,
ის გაუყიდავი რჩება და საწყობებშია ჩაკეტილი, მუშების
უმრავლესობა-კი ქუჩაზეა გამოყრილი და შიმშილისაგან სიკვ-
დილ-სიცოცხლეს ებრძვის... უმუშევარნი ყოველთვის არიან
კაპიტალისტურ წესწყობილების დროს, მარა კრიზისების
დროს მათი რიცხვი მეტადრე მრავლობს... ბევრ სხვა მიზეზ-
თა შორის, უმუშევრობას საკმაოთ დიდი გავლენა აქვს საზო-
გადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე: ის, გამოწვეული ქვე-
მოდან—ეკონომიური მიზეზით, წარმოების განვითარების
აუცილებელ წეს-კანონების მიზეზით, არყევს ზედა სართუ-
ლებს—იურიდიულ-პოლიტიკურ წესწყობილებას ბურჟუაზიულ
სახელმწიფოსი და, როგორც წინა წერილებში დავინახეთ,
უმუშევართა და მშიერთ დაუწყიათ ბევრი რევოლიუციები...
მართალია, რევოლიუციებში ისინი ,,მარცხდებოდენ‘‘!..
მარა, მარცხიც არის და მარცხიც!.. ამ რევოლიუციებში
გამოწრთობილა, გამოჭედილა ახალი-თაობა, რომელსაც
კიდეც გაუცნია ბრძოლის ველზე თავისი მტერ-მოყვარენი,
ამხან გ-მეგობრები, შეუგნია მიზეზები თავის დამარცხებისა...
ეს ხომ დიდი ისტორიული გაკვეთილია თანამედროვე პრო-
ლეტარიატისათვის. ამგვარმა ,,შეცდომებმა‘‘, ამგვარმა ,,და-
მარცხებებმა‘‘, ვითარცა აუცილებელმა ისტორიულმა გზამ
და პრაქტიკამ,—გამოამუშავა კიდეც პროლეტარიატის პოლი-
ტიკური და პროფესიონალური ბრძოლის პროგრამა, ტაქტიკა
და თვით მის სწავლა-მოძღვრებას – იდეოლოგიას—მისცა მე-
ცნიერული საფუძველი,—,,სოციალიზმი‘‘ უტოპიური გახადა
სამეცნიერო სოციალიზმად... აი, ეს მეცნიერება, მეცნიერუ-
ლი შეგნება თავის მდგომარეობისა, ახსნა და გავრცელება
მასსაში ამ შეგნებისა, ყველა სოციალური სიბოროტის მიზე-
ზების ცოდნისა, რომელიც-კი სტანჯავს მუშათა კლასს,—
იხსნის მას უმუშევრობიდანაც, ვინაიდან ის ახლა უფრო მე-
ტი გამოცდილებითაა შეიარაღებული და, მაშასადამე, უკე-
თესათ და უფრო ნაყოფიერათ შეებრძოლება თავის მოსისხლე
მტრებს—ბურჟუებს და მათ მთავრობებს. ამისათვის ის ეწყო-
ბა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებათ... ეს
ორგანიზაციები გაუწევენ დიდ დახმარებას და, გვგონია,—ეს
ერთად ერთი უებარი წამალი იქნება უმუშევრობის მოსასპო-
ბათ. როგორ და რანაირათ?—,,პროლეტარებო ყველა ქვეყ-
ნისა, შეერთდით!..‘‘ შეერთებული მუშათა კლასი მოსპობს
კაპიტალისტურ სისტემას და განახორციელებს სოციალიზმს,
რომელიც ღვიძლი შვილია კაპიტალიზმისა და ჭეშმარიტი
მემკვიდრე ამ დიად კულტურისა: სოციალისტურ საზოგადო-
ებაში ხომ არ იქნება უმუშევრები, უმუშევრობა!..

რუსეთის უმუშევრობა ყველაზე უფრო მწვავე ხა-
სიათისაა. მარა, აქ უმუშევრობის მიზეზი არამც თუ მარტო
კაპიტალიზმია, კიდევ უფრო მეტათ მთავრობაა, პროვოკაცი-
ონური, რეაქციონური მთავრობა შავ-რაზმელ დიდ მემამუ-
ლეებისა და ფაბრიკანტებისა... მათ სურთ დიდი რევოლიუ-
ციის მესვეური, ბელადი—სახელგანთქმულ რუსეთის პროლე-
ტარიატს შიმშილით სული ამოხადონ და ამიტომ კეტვენ და
აკეტვინებენ ფაბრიკა-ზავოდებს და ათი-ათასობით მშრომელ.
ხალხს ქუჩაზე ყრიან... ხაზეინებიც სარგებლობენ ამ რეაქციით
და მუშაობის ყოველივე ძველ, საძაგელ პირობებს ისევ თავს
ახვევენ მუშათა კლასს... ბურჟუები ხომ ისეთი ხალხია, რომ
კანჭებში გიყურებს: თუ მაგრათ დგახარ ფეხზე და გამარჯვე-
ბულიც,—შენკენაა და სარგებლობს შენი თავგამოდებული
ბრძოლის შენაძენით,—თუ დაგიცდა ფეხი, მოგირბენს უკა-
ნიდან, შენს მტერს ამოუდგება გვერდზე და ჩაგწიხლავს...
მარა, როდემდის?! კიდევ გავუმეორებ მათ: როდემდის-მ,თქი?!.

უმუშევრობა რომ ყოველგან მთელ დედამიწის ზურგზე,
სადაც-კი შეატანა კაპიტალმა თავისი ბრჭყალები,—საყოველ-
თაო და მწვავე მოვლენაა დღეს,—ეს იქიდანაც სჩანს, რომ
ამას წინათ ქალაქ მილანში (იტალიაში) გაიმართა ,,საერთა-
შორისო კონგრესი უმუშევრობასთან საბრძოლველათ‘‘. აქ
დიდი უმრავლესობით მიღებულ იქმნა შემდეგი საყურადღებო
რეზოლიუცია:

,,კონგრესი, რომლის მიზანი უმუშევრობის მხოლოდ
შესუსტებაა, აღნიშნავს, რომ მის წინააღმდეგ საბრძოლველათ
უმთავრესი საშუალება არის: მუშათა ორგანიზაციის განვი-
თარება, სამუშაო დღის შემოკლება, ხელფასის მომატება,
კოლექტიური ხელშეკრულობა, მუშაობის გონივრული

*) К. Шмидтъ. Общая безработица, ея причины и мѣры
борьбы съ нею.

განაწილება, მუშათა კოოპერაციების ყოველგვარ ფორმის განვითარება, შემდეგ პოლიტიკური ძალდატანება მთავრობაზე და ქალაქის თვითმართველობებზე, რომ ისინი უმუშევართ ხელს უწყობდენ,—კონგრესი მოითხოვს, რომ ეს ხელისშეწყობა შემდეგ ფორმებში გამოიხატებოდეს:

1) უმუშევრობის დრო-გამოშვებითი სტატისტიკა,—

2) სამუშაოს მოსაძებნ ბიუროს დაარსება,

3) მთავრობის-მიერ დახმარების გაწევა (სუბსიდია), თვით მუშების-მიერ დაარსებულ უმუშევართა დამხმარე პროვინციალურ და კომუნალურ კასებისა,

4) უმუშევრობისაგან სახელმწიფო დაზღვევის ხარჯი უნდა გადიხადონ სახელმწიფომ, მრეწველებმა და მუშებმა.

5) მშრომელთათვის კრედიტის გაიაფება, მეტადრე ამხანაგობათათვის, რომელთაც მიზნათ აქვთ კოლექტიური იჯარა.

კონგრესი დაასკვნის, რომ მთავრობანი ვალდებულნი არიან—ის ფულები, რომელიც შეიარაღებაზე იფანტება, საზოგადო მუშაობის მოსაწყობათ და ყამირი მიწების შესამუშავებლათ, გადასდონ და ყველა მოცლილი მუშა-ხელი მიიზიდონ (ამ მიწებზე) ''.*)

ასეთია კონგრესის აზრი უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

ბევრი სხვა ზომებიც მეიძლება დავასახელოთ,—და დასახელებულნიც კიდევ უფრო მკვეთრათ დავაფორმულოთ, მარა, ეს წერილი ნამეტანი გაგვიჭიანურდა ამხელათ, და ამიტოთ ვსწყვეტთ აქ. მით უფრო, რომ შემდეგში არა ერთხელ შეგვხვდება ამ საკითხის შესახებ კიდევ საუბარი მკითხველთან, ვინაიდან უმუშევრობა-კი არ სუსტდება, უფრო ძლიერდება, უმუშევართა რიცხვი-კი არ კლებულობს, პირ-იქით, შეუწყვეტლივ მრავლდება...

თბილისის პროფესიონალური კავშირების მუშათა დეპუტატების ცენტრალური საბჭო.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი „ცნობა'', შესახებ ცენტრალურ საბჭოს დაარსებისა:

ამხანაგო—მუშებო!

ორი თვე იქნება მას შემდეგ, რაც კავშირთა წარმომადგენლების უკანასკნელი კრება მოხდა. გეხსომებათ, რომ ამ კრებამ გადასწყვიტა საბჭოს დაარსება, რისთვისაც შეიმუშავა ცნობილი წესდების პროექტი და აირჩია კავშირთა ორგანიზაციული კომისია გეხსომებათ აგრეთვე, რომ კრების გადაწყვეტილებით, ამ კომისიას კავშირებში უნდა გაევრცელებინა ხსენებული პროექტი და შემდეგ მოეწვია საბჭოს დამფუძნებელი კრება.

და აი, ჩვენ გამცნობთ, რომ ამ დღეებში უკვე მოხდა ხსენებული საბჭოს დამფუძნებელი კრება.

ის, რაც ასე საძნელოთ მიგვაჩნდა, ის, რასაც მთელ ორ თვეს ველოდით,—დღეს უკვე ხელში გვაქს! დღეიდან ჩვენ გვყავს ჩვენი საბჭო, რომელიც შეაერთებს ჩვენი კავშირების ბრძოლას, დააარსებს ახალ კავშირებს და შეძლებისა დაგვარათ მოაწესრიგებს უმუშევართა ბრძოლას.

აი, ამ კრების მოკლე ისტორიაც.

ორგანიზაციური კომისიის მოხსენებით კრებას უნდა დასწრებოდა ოცი კავშირის დეპუტატი: 1. მოსამსახურეების, 2. დამტვირთველ-გადმომცლელების, 3. მებაღეების, 4. მერძევეების, 5 ტრამვაის მოსამსახურეების, 6. მექუდეების, 7. ელექტრო-ტეხნიკების, 8. ნოქრების, 9. იუველირების, 10. დურგლების, 11. მაგარ სასმელებზე მომუშავეების, 12. ლუდის მხარშველების, 13. პარიკმახერების, 14. მელიმონათეების, 15. მეთორნეების, 16. მეშუშეების, 17. ფარმაცევტების, 18. მკერვალების, 19. მეჩექმეების და 20. კანდიტრების.

ამათგან კრებას დაესწრო 15 კავშირის დეპუტატი. რაც შეეხება ნოქრების, პარიკმახერების, მეჩექმეების, მელიმონათეების და კანდიტრების კავშირთა დეპუტატებს,—ესენი ვერ დაესწრენ შემთხვევითი მიზეზების გამო.

ორგანიზაციური კომისიის და დეპუტატების მოხსენებათა მოსმენის შემდეგ კრებამ შეამოწმა დეპუტატების მანდატები, მცირე კამათის შემდეგ მიიღო პროპორციონალური არჩევნები, დააწესა სამას წევრზე თითო დეპუტატის არჩევა, წესდების პროექტი ნამდვილ წესდებათ გადააქცია და შემდეგ გამოაცხადა თავისი თავი ცენტრალურ საბჭოს დამფუძნებელ კრებათ.

აქ გათავდა ორგანიზაციური კომისიის არსებობა და აქედანვე დაიწყო ცენტრალური საბჭოს მოღვაწეობა.

არსებულ კავშირების გასაერთიანებლათ, ახალი კავშირების დასაარსებლათ, უმუშევართა გასაძღოლათ და სხვა დანარჩენ საქმეების მოსაწესრიგებლათ საჭირო იყო განსაკუთრებული კომისიების არჩევა. ამას წესდებაც ამბობს, როგორც იცით. ამიტომ იყო, რომ კრება დაუყოვნებლივ შეუდგა კომისიების შედგენას.

უმუშევართა კომისია, ლიტერატურული კომისია, კავშირების მომწყობი კომისია, გაფიცვების კომისია, ფინანსიური კომისია, დახმარების კომისია და საბჭოს აღმასრულებელი კომისია,—აი რა კომისიები უნდა აერჩია ცენტრალურ საბჭოს.

ცენტრალურმა საბჭომ ასე განმარტა ამ კომისიების მოვალეობანი:

უმუშევართა კომისიამ უნდა მოაწყოს ადგილების მოსაძებნი ბიურო, გამოიყენოს თავის ნიზნისთვის „უპრავის" შრომის ბირჟა, შეკრიბოს ცნობები თავისუფალ ადგილებსა და უმუშევრებზე, ბრძოლა გამოუცხადოს კერძო ბიუროებს და, ამგვარათ, ხელში დაიჭიროს თბილისის უმუშევართა საქმე;

კავშირების მომწყობმა კომისიამ ხელი უნდა შეუწყოს პროპორციონალური ცოდნის გავრცელებას და კავშირები უნდა მოაწყოს იმ მუშებში, სადაც არ არსებობს კავშირები;

გაფიცვების კომისიამ ხელი უნდა შეუწყოს გაფიცულ ამხანაგებს საჭირო აგიტატორების და ორგანიზატორების მიწოდებით;

ლიტერატურულმა კომისიამ ხელი უნდა შეუწყოს კავშირების და, საერთოთ, მუშების გაერთიანებას გაზეთისა და ბროშურების გამოცემით, ფურცლების დაწერით, პროფესიონალური ლექციების მოწყობით და სხვა;

ფინანსიურმა კომისიამ ფული უნდა შეკრიბოს მოქალაქეებში კავშირების საერთო საქმეების სასარგებლოთ;

დახმარების კომისიამ საჭიროების დროს ექიმი და ადვოკატი უნდა უშოვოს ამხანაგებს, თუ ამ ამხანაგების კავშირები თითონ ვერ მოახერხებენ მათ შოვნას, და აგრეთვე დახმარება უნდა აღმოუჩინოს ციხეში დაჭერილ ამხანაგებს, უკეთუ მათი კავშირები თითონ ვერ გაუძღვებიან ამ საქმეს;

დაბოლოს, აღმასრულებელმა კომისიამ საბჭოს მაგიერობა

---

*) „Товарищъ" № 103.

უნდა გასწიოს საბჭოს ერთი კრებიდან მეორე კრებამდე, ყოველდღიურათ უნდა გაუძღვეს საბჭოს წვრიმალ საქმეებს და ერთმანეთს შეუკავშიროს ცალკე კომისიების მოღვაწეობა.

ასე განმარტა ცენტრალურმა საბჭომ საბჭოს კომისიების მოვალეობანი.

სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ჯერჯერობით კრებამ მხოლოდ ხუთი კომისია აირჩია. რაც შეეხება დანარჩენ ორ კომისიას—გაფიცვის და დახმარების კომისიას—მათი არჩევა შემდეგ კრებამდე გადასდო, მანამდე-კი ამ ორი კომისიის მოვალეობანი აღმასრულებელ კომისიას დაეკისრა.

კომისიების არჩევის შემდეგ საბჭო შეეხო კითხვას გაზეთის შესახებ სამ ენაზე, შესაფერი რეზოლიუცია გამოიტანა და შემდეგ დახურა კრება.

ასე გათავდა ცენტრალურ საბჭოს დამფუძნებელი კრება.

ამხანაგებო! ყველა ერთდება ჩვენს წინააღმდეგ ჩვენი ძალების დასაქუცმაცებლათ: ერთდება ბურჟუაზია კლასიურ კავშირათ ჩვენი კავშირების დასაუძლურებლათ; ერთდება ბიუროკრატია კონტრ-რევოლიუციის კავშირათ ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობის დასამარხავათ; დროა ჩვენც შევერთდეთ ცალკე პროლეტარულ კავშირათ წინააღმდეგ ბურჟუაზიის კავშირისა, დროა ჩვენც დავირაზმოთ ცალკე სოციალისტურ კლასათ წინააღმდეგ კონტრრევოლიუციის კავშირისა!

ჩვენ გვყავს ჩვენგან არჩეული ჩვენი ცენტრალური საბჭო, და ჩვენი ვალია მის გარშემო მოვიყაროთ თავი.

უმუშევრებო! უმუშევართა დიადი როლი რევოლიუციათა ისტორიაში ყველასათვის ცნობილია; თქმა არ უნდა, რომ ჩვენშიაც დიდ რევოლიუციონურ როლს ითამაშებენ ისინი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მებრძოლ პროლეტარიატს მიეკედლებიან... მაშ ხელი გაუწოდეთ მებრძოლ მუშებს და თავი მოიყარეთ მათ გარშემო!

თქვენ გყავთ ახლა მუშებისაგან არჩეული უმუშევართა კომისია, რომელიც შეძლების დაგვარ დახმარებას გაუწევს თქვენს ყოველდღიურ ბრძოლას...

გაუმარჯოს მუშათა კლასიურ კავშირს!
გაუმარჯოს კლასთა ბრძოლას!
გაუმარჯოს სოციალიზმს!

ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელი კომისია.

პროფესიონალური კავშირები და სოციალ-დემოკრატიული პარტია საერთა შორისო პროლეტარიატის წინაშე *).

რუსეთის რევოლიუციის ქარიშხალმა ძირიან-ფესვიანათ შეარყია ევროპის საზოგადო-პოლიტიკური ცხოვრება. მთელი ქვეყნის ნავთსაყუდლის გახრწნამ და მის განადგურების ჟამის მოახლოვებამ, თავისი დაღი დაასვა არამც-თუ ბურჟუაზიულა სახელმწიფოების პოლიტიკას, არამედ ასეთივე გავლენა იქონია საერთაშორისო ბურჟუაზიის პოლიტიკაზე, შეიცვალა დამოკიდებულება არამც-თუ სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის, არამედ შეიცვალა აგრეთვე სახელმწიფოების შინაური საქმეების ურთიერთობა.

რუსეთის პოლიტიკური რევოლიუცია—სწერდა მარქსი—იქნება წინამორბედი სოციალური რევოლუციისა. მან გაამწვავა კლასთა ბრძოლა ყველგან, სადაც კი განვითარებულია მუშათა მოძრაობა; მან ახადა-რა პირბადე ყოველგვარ კონსტიტუციას, დემოკრატიას და რესპუბლიკას, გამოააშკარავა ბურჟუაზიის კლასიური არარაობა. შორს მგრგვინავი რუსეთის რევოლიუციის ზარის რეკის ხმა, აგონებს პროლეტარიატს, რომ შორს არ არის წამი ანგარიშის გასწორებისა. ყველგან, ყველა ქვეყანაში დღევანდელი მდგომარეობის დაგვარათ იცვლება პროლეტარიატის ტაქტიკა, გროვდება რევოლუციონური ენერგია დაკავშირდება პროლეტართა ძალა. აქამდის, ყველა განვითარებულ ქვეყნების მუშათა მოძრაობა ჩამოყალიბდა ორგვარ კლასიურ ბრძოლის ფორმაში—პროფესიონალური კავშირები და სოციალისტური პარტიები. ორივე ეს ბრძოლის ფორმები, რომელნიც ხან დაუახლოვდებიან და ხან დაშორდებიან ერთმანეთს, გამომდინარეობენ კაპიტალისტური წესწყობილებისაგან, ერთგვარი მატარებელნი არიან პროლეტარული მისწრაფებისა და ორივე სცდილობენ შეუფარდონ ერთმანეთს თავიანთი ძალა და მიზნები. დღეს იმ საკითხს, თუ რაგვარი დამოკიდებულება უნდა იყოს პროფესიონალურ კავშირებსა და სოციალ დემოკრატიულ პარტიას შორის, ევროპის პროლეტარიატისთვის პირველი ადგილი უჭირავს. ეს არის ეხლა გათავდა მანჰეიმის სიეზდი გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა, რომელზედაც ხელმეორედ ირკვეოდა ეს საკითხი რამდენიმე დღის შემდეგ ესევე კითხვა უნდა გაარკვიოს იტალიისა და საფრანგეთის პარტიების სიეზდმა და აგრეთვე საფრანგეთის პროფესიონალურ კავშირების სიეზდმა*). ჩვენი წადილია რამდენიმე წერილი შევწიროთ მის გარკვევას, თუ როგორაა დაყენებული და გადაწყვეტილი ეს საკითხი სხვა და სხვა კაპიტალისტურ განვითარებულ ქვეყნებში. ამ წერილში ჩვენ შევეხებით მხოლოდ გერმანიას, ვიხელმძღვანელებთ რა მანჰეიმის სიეზდის ნამუშევარით.

ცხოვრებამ, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ, დაუყენა გერმანიის პროლეტარიატს მწვავე კითხვა: პროფესიონალური კავშირები ნეიტრალურნი იყვნენ თუ არა? სხვა ნაირათ რომ ვსთქვათ—განვდევნოთ თუ არა პროფესიოიალური კავშირებიდან ყოველგვარი პოლიტიკა. უნდა შევნიშნოთ, რომ დღევანდლამდის გერმანიაში პროფესიონალური კავშირები სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიების გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ. ყველაზე ძლიერი პროფესიონალური კავშირები სოციალ-დემოკრატიის გავლენის ქვეშ არიან; ეს ეგრეთ წოდებული „თავისუფალნი“ ანუ ცენტრალისტურათ მოწყობილი პროფესიონალური კავშირები, რომელთა წევრთა რიცხვი ადის 1.300.000-მდე; მას შემდეგ „ქრისტიანთა“ კავშირი 200.000 წევრით, დაბოლოს გირშ-დუნკეროვის კავშირები (ლიბერალურ ბურჟუაზიის გავლენით) 100.000 წევრით. კავშირთა „ნეიტრალობის“ დამცველნი, მათ რიცხვში ბებელიც, მითი ასაბუთებენ თავიანთ აზრს, რომ ეს, ე. ი. ნეიტრილობა, საჭიროა სხვა-და-სხვა მიმართულების კავშირების შეერთებისთვის და მოსამზრობათ იმ ფართო მუშათა მასისა, რომელთაც ჯერ არა აქვთ არავითარი პოლიტიკური შეხედულება.

პროფესიონალური მოძრაობა—ამბობენ „ნეიტრალისტები—ისახავს რა ახლო მომავალში განსახორციელებელ მიზნებს, იცავს საერთოთ მთელ, ეკონომიურათ დაბეჩავებულ კლასის ინტერესებს; ამიტომაც პროფესიონალური მოძრაობა,

---

*) „Вѣстникъ жизни“ № 13.

*) ეს წერილი სიეზდებამდი დაწერილი, როგორც მკითხველმა იცის ეს სიეზდები დიდი ხანია გათავდა.

მთარგმნელი

როგორც მთელი მუშათა კლასის მოძრაობა ყოველთვის უნდა ცდილობდეს განდევნოს ყველაფერი, რაც კი ზღუდავს მის „მიმზიდველ ძალას“ (Derberkraft). სხვათა შორის, ერთ ამ-ნაირ შემზღუდველ ელემენტათ უნდა ჩაითვალოს პოლიტიკა, რომელიც ჰყოფს მუშებს სხვა-და-სხვა პარტიებათ, აქედან გამომდინარეობს ლოზუნგი: არავითარი პოლიტიკა პროფესიონალურ კავშირებში! მაგრამ, რადგანაც, როგორც დავინახეთ, უმეტესი ნაწილი პროფესიონალური კავშირებისა იმ-ყოფებიან სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენის ქვეშ, ამიტომ ეს ლოზუნგი კონკრეტიულათ ასეთია: სოციალ-დემოკრატიას არავითარი საქმე არა აქვს პროფესიონალურ კავშირებთან! შეეფერება ასეთი ლოზუნგი გერმანიის სოციალ-პოლიტიკურ განვითარების ობიექტიურ პირობებს და შეუ-ძლია მას მიაღწიოს დანიშნულ მიზანს—გააორკეცოს „მიმ-ზიდველი ძალა“ კავშირებისა? ამ კითხვის შესახებ თავის დროზე კაუცკიმ უარყოფითი აზრი გამოსთქვა.

პროფესიონალური კავშირების მიზანი მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებაა; მაგრამ მდგომარეობის გაუმ-ჯობესება შეიძლება უმუშევრობის დროს, მათი მატერია-ლური დახმარებით, აგრეთვე შრომის პირობების გაუმჯობე-სებით. უმუშევრობის მიზეზი სხვა-და-სხვაა, და როგორც ვე-რნერ ზომბარტი ამბობს, ეს მიზეზები სამ კატეგორიათ განი-ყოფებიან: ჯერ ერთი, როცა მუშას ფიზიკურათ შეუძლია მუშაობა, მაგრამ არ მუშაობს, რადგან შრომის პირობები ძლი-ერ ცუდია, ეს—გაფიცვებით გამოწვეული უმუშევრობაა; მეო-რე, როცა მუშას უნდა მუშაობა, მაგრამ ფიზიკურათ არ შე-უძლია, ეს—უმუშევრობაა გამოწვეული ისეთი მიზეზებიდან, როგორიც ავათმყოფობაა, უბედური შემთხვევა მუშაობის დროს, ინვალიდობა, მოსუქებულება და სხვა; დაბოლოს, მესამე, რო-ცა მუშას უნდა მუშაობა, მაგრამ ვერ პოულობს სამუშაოს, ეს—უმუშავრობა გამოწვეულია კაპიტალისტური წესწყობილე-ბის განვითარების პირობებით. როგორც პროფესიონალური კავშირების სტატისტიკა გვიჩვენებს მეტი ნაწილი ხარჯებისა მიდის ავათმყოფობისაგან, უბედური შემთხვევებისაგან, ინვა-ლიდობისაგან და სხვა ამნაირი მიზეზებისაგან უმუშევრათ და-რჩენილ მუშების დახმარებაზე. ინგლისის ტრედ-უნიონები ბლომათ აძლევენ ამნაირ დახმარებას თავის წევრებს. გერმა-ნიაში კი ამნაირ დახმარებას სახელმწიფო უწევს, ასე რომ, პროფესიონალურ კავშირების დახმარების სარბიელი ძიელ შე-ზღუდულია. და თუ მიუხედავათ ამისა ამ ათი წლის განმავ-ლობაში ინგლისის ტრედ-უნიონების განვითარებამ იკლო იმ-დროს როდესაც გერმანიის სინდიკატებმა შესამჩნევი ნაბიჯი გადადგეს წინ, ამის მიზეზი სულ სხვაგან უნდა მოვძებნოთ.

კაუცკიმ გარკვევით სთქვა მანჰეიმის სიეზდზე, რომ ამის მიზეზი ჯერ ერთი ისაა, რომ სოციალ-დემოკრატიული შეგ-ნება განვითარდა პროფესიონალურ კავშირებში და მეორე ისა, რომ პროლეტარულ-ეკონომიურ ორგანიზაციებში სოციალ-დემოკრატთა იდეიურმა გავლენამ ფესვი გაიდგა. და, მართლაც, ჩვენ ზევით დავინახეთ, რომ გერმანიის სინდიკატები აძლევენ შემწეობას თვის წევრებს უფრო მეტათ გაფიცვებისა და იმ უმ-უშევრობის დროს, რომელსაც ზომბარტი ეძახის სოციალურს, ე. ი. რომელიც გამოწვეულია თვით კაპიტალისტურ წარმო-ების განვითარების პირობებისაგან.

აი სწორეთ ერთი უმუშევრობა,—როგორც არის უმუშე-ვრობა, გამოწვეული გაფიცვებითა და „სოციალური“ მიზეზ-ებით, ყველაზე უფრო ძნელი მოსასპობია მატერიალური და-ხმარებით; გაფიცვების რიცხვთა შემოკლება, დაკანონება გა-ფიცვების წყალობით მოგებული პირობებისა, უმუშევართა რი-ცხვის შემცირება, ყველაფერი ეს დამოკიდებულია უფრო მე-ტათ და თავდაპირველათ მუშათა კლასის სასარგებლოთ შრო-

ფელეტონი

ნერონი*).

რომი იწვება, რომი ინთქება,
გახვეულია ის ცეცხლის ალში,
კვნესა, ვაება, ტირილ-გოდება,
ისმის ყოველგან დატანჯულ ხალხში!

აქ გარბის დედა ძუძუთა შვილით,
დანგრეულ ოჯახს იქ სტირის მამა,
ათი-ათასი უმანკო მსხვერპლი
შთანთქა გენიამ, შთანთქა საფლავმა!

და ნერონი კი, იმპერატორი,
ოქროს დარბაზში ზის და ქეიფობს,
ხედავს სარკმლიდან ხალხის ვაებას,
და ეს სურათი ახარებს, ატკბობს!

კმაყოფილია „ღმერთების სწორი“
თვის სიძლიერე მან ხალხს უჩვენა,
და ამის შემდეგ ვილა გაბედავს
მის წინააღმდეგ, რომ დასძრას ენა!

თანამხლებელნი სიცილ-ხარხარხარით
მას შეასხამენ ქებათა-ქებას,
მმუსიკენი უკრავენ ტკბილ ხმას
და ბანს აძლევენ ხალხის ვაებას!

მაგრამ ღიმილი ხან-მოკლე იყო...
დაჰკრეს წერაქვი დარბაზის კედლებს,
იძია შური ხალხმა ტანჯულმა
და მიახწია თავის საწადელს!

უბრალო მონამ გული გაუპო
მეფეს სისხლის მსმელს, მეფეს მტარვალსა,
და მისი ლეში რომაელებმა
წილად არგუნეს ღორსა და ძაღლსა!

ი. ევდოშვილი

*) ნერონი, რომის იმპერატორი, ცნობილია ისტორიაში, რო-გორც ერთი უდიდესი მტარვალთაგანი. მოჰკლა უბრალო მონამ 68 წ. ქრისტეს დაბადების შემდეგ.

ანარხიზმი თუ სოციალიზმი? *)

დღევანდელი ცხოვრების დედა ბოძი კლასთა ბრძოლაა. ბრძოლის დროს კი თვითოეული კლასი თავის იდეოლოგიას

*) ამას წინეთ მოსამსახურეთა პროფესიონალურმა კავშირმა წინა-დადება მოგვცა წერილები გაგვეშვა ანარხიზმზე, სოციალიზმზე და სხვა ამისთანა კითხვებზე (იხ. „ახ. დრ.“ № 3) ამგვარივე სურვილი განაცხა-

მის პირობების შეცვლისაგან. ეს შეცვლა კი შესაძლებელია მოხდეს დღევანდელ წესწყობილებაში მხოლოთ კანონმდებლობითი გზით, ძლიერი პოლიტიკური პარტიის ზეგავლენით. ასეთი კი არის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ თვით დახმარების გაღება დამოკიდებულია სამუშაო ქირის რაოდენობაზე. რომ საკმარისი დახმარება გაუწიო, საჭიროა საკმარისათ დიდი საწევრო ფულის შეკრება, საკმარისათ დიდი საწევრო ფულის შეკრებისათვის კი საჭიროა, რომ მუშები დიდ სამუშაო ხელფასს იღებდენ. დღევანდელ წარმოების პირობებში კი სინდიკატების „მიმზიდველ ძალას“ არ შეუძლია მუდმივი და შეუჩერებელი ზრდა; დგება წამი, როდესაც სინდიკატები, როგორც ეს მოხდა ინგლისში, შეაკავშირებენ რა ყველა მატერიალურათ მაღლა მდგომ მუშებს, უკლებენ ნაბიჯს და ბოლოს ერთ წერტილზე ჩერდებიან. რომ „მიმზიდველმა ძალამ“ კიდეე იმოქმედოს, სხვანაირათ—რომ ეკონომიურ ორგანიზაციებში მუშათა რიცხვმა თანდათან იმატოს, საჭიროა, რომ პროფესიონალური კავშირების მოქმედებას ემატებოდეს და ავსებდეს სოციალ-დემოკრატიის კანონმდებლობითი მოქმედებას პარლამენტში. ინგლისში, ასეთი ძალა, რომელიც ტრედ-უნიონების მოქმედებას პოლიტიკურ ასპარეზზე თავის მოქმედებით ავსებდეს, არაა; გერმანიაში კი იგი ძლიერია. „გერმანიაში—ამბობს კაუცკი,—მასსას ის ნდობა, რა ნდობითაც იგი უყურებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, გადააქვს სოციალ-დემოკრატიულ შეგნებით გამსჭვალულ პროფესიონალურ კავშირებში“. აი აქ არის ცენტრალისტურათ მოწყობილი პროფესიონალური კავშირების წრფელი განვითარების მიზეზი. მაშასადამე, რამდენათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარლამენტარული მოქმედება ავსებს პროფესიონალურ კავშირების მოქმედებას მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, იმდენათ, პროლეტარიატის კლასთა ბრძოლის თვალთახედვის ისრით, ამ ორივე ორგანიზაციის ფორმას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ფართე მასსის შეკავშირება შეადგენს პროფესიონალურ კავშირების საბოლოო მიზანს და არსებობის აზრს, მაშინ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიზანი ძაან შორდება მას. „სოციალ-დემოკრატიული პარტია—ამმობდა იგივე კაუცკი—წარმოადგენს პროლეტართა კლასიურ ორგანიზაციების ერთ უდიდეს შემაერთებელ ფორმას; სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობას; მისი საბოლოო მიზანია—არა დღევანდელ საზოგადოებაში შრომის პირობების შეცვლა, არამედ გარდაქმნა თვით დღევანდელი საზოგადოებისა—სოციალ-დემოკრატიულ საზოგადოებათ“... აქედან კაუცკის და მის თანამოაზრეებს გამოჰყავთ ის დასკვნა, რომ თვით მუშათა მოძრაობის ინტერესები მოითხოვს პროფესიონალურ კავშირებში სოციალ-დემოკრატიულ შეგნების განვითარებას. ყველა მუშები—პარტიის წევრები, უნდა შედიოდენ პროფესიონალურ კავშირებში; აქ ისინი უნდა ეწეოდენ ფართე სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდა-აგიტაციას; ამასთანავე მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ ჯერ პირველათ ისინი პარტიის წევრები არიან და, მაშასადამე, ყოველთვის პროფესიონალურ სფერის მოქმედებაში, როგორც საერთოთ ყველა სხვა საზოგადო მოქმედებაში, მოვალენი არიან დაექვემდებარონ პარტიულ დისციპლინას. ამრიგათ ჩვენ ვხედავთ, რომ კაუცკი ძაან წინააღმდეგია პროფესიონალურ კავშირთა ნეიტრალობისა, მაგრამ თუ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზრდა-განვითარებამ მიიყვანა კაუცკი ამ დასკვნამდის, სამაგიეროთ პროფესიონალურ კავშირთა პროგრესმა მიიყვანა მისი ბელადები სულ წინააღმდეგ დასკვნამდის. პროფესიონალისტურ რევოლიუციას და მშვიდობიანი გზით ცდილობს სოციალიზმის დამყარებას, რეფორმიზმი, რომელიც კლასთა თანამშრომლობას ქადაგებს, და არა კლასთა ბრძოლას,—ეს რეფორმიზმი დღითი-დღე იხრწნება, დღითი-დღე კარგავს ყოველივე სოციალისტურ ნიშან-წყალს, და, ჩვენი აზრით, აქ, ამ წერილებში მისი განხილვა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს სოციალიზმის გამოსარკვევათ.

სულ სხვაა მარქსიზმი და ანარხიზმი: ესენი ორივე სოციალისტურ მიმდინარეობათაა დღეს მიჩნეული, ორივე სასტიკ ბრძოლას ეწევა ერთმანეთთან, ორივე ნამდვილ სოციალისტობას ჩემულობს პროლეტარიატის წინაშე, და თქმა არ უნდა, რომ მათი განხილვა და ერთურთთან დაპირდაპირება გაცილებით უფრო საინტერესო იქნებოდა მკითხველისთვის.

მართალია, ზოგიერთების შეხედულებით, მარქსიზმსა და ანარხიზმს ერთი და იგივე პრინციპები აქვთ, მათ შორის მხოლოთ ტაქტიკური უთანხმოებაა,—ასე რომ, მათი აზრით, პირდაპირ შეუძლებელია ამ ორი მიმდინარეობის ერთი მეორესთან დაპირდაპირება.

მაგრამ ეს დიდი შეცდომაა.

საქმე იმაშია, რომ მარქსიზმი და ანარხიზმი სრულიად სხვა-და-სხვა პრინციპებზეა აშენებული, მიუხედავათ იმისა, რომ ორივე სოციალისტური ფლაგით გამოდის ბრძოლის ველზე: ანარხიზმის ქვაკუთხედი პიროვნებაა, რომლის განთავისუფლება, მისი აზრით, უმთავრესი პირობაა მასსის განთავისუფლებისა, ე. ი. ანარხიზმის აზრით მასსის განთავისუფლება

ემორჩილება. ბურჟუაზიას აქვს თავისი იდეოლოგია—ეს ეგრეთ წოდებული ლიბერალიზმია. აქვს თავისი იდეოლოგია პროლეტარიატსაც—ეს, როგორც იცით, სოციალიზმია.

ლიბერალიზმი არ არის ერთი რამ მთელი და განუყოფელი—ის სხვა-და-სხვა მიმართულებათაა დაყოფილი თანახმათ ბურჟუაზიის სხვა-და-სხვა ნაწილებისა.

არ არის მთელი და განუყოფელი არც სოციალიზმი—ისიც სხვა-და-სხვა მიმდინარეობათაა დანაწილებული.

მაგრამ, ჩვენ აქ არ შევუდგებით ლიბერალიზმის განხილვას—სჯობია სხვა დროსთვის დარჩეს. ჩვენ გვინდა მხოლოდ სოციალიზმი და მისი მიმდინარეობანი გავაცნათ მკითხველს,—ჩვენი აზრით, ეს უფრო საინტერესო იქნება მისთვის.

სოციალიზმი კი სამ უმთავრეს მიმდინარეობათ იყოფა: რეფორმიზმათ, ანარხიზმათ და მარქსიზმათ.

რეფორმიზმი (ბერშტეინი და სხვები), რომელსაც სოციალიზმი მხოლოთ შორეულ მიზნათ მიაჩნია და მეტ არაფრათ, რეფორმიზმი, რომელიც ფაქტიურათ უარჰყოფს სო-

---

და ზოგიერთა სხვა ამხანაგებმაც. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ სურვილს და ვუშვებთ ამ წერილებს. რაც შეეხება თითონ წერილებს, საჭიროთ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ, რომ წერილების ერთი ნაწილი ერთხელ უკვე გამოვიდა ქართულ პრესაში (ავტორისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო წერილები ვერ დამთავრდა). მიუხედავათ ამისა, ჩვენ საჭიროთ ვცანით ყველა წერილების გაშვება, თავით ბოლომდე, და წინადადება მივეცით ავტორს ადვილ-გასაგებ ენაზე გადაეკეთებინა ხსენებული წერილები, რაც მან სიამოვნებით შეასრულა.

რედაქცია.

ლურ კავშირთა წევრთა რიცხვის გამრავლებამ, მატერიალური სიმდიდრის ზრდამ და ამასთანავე კავშირთა მოქმედების სფერის გაფართოვებამ ძალაუნებურათ დაუბადა მის ბელადებს ილიუზიები პროლეტარულ-ეკონომიურ ორგანიზაციების ისტორიულ და სოციალურ მნიშვნელობაზე. „ტყუილია, იძაზე ლაპარაკი—ამბობენ ისინი—ვითომც სინდიკატები პარტიას უნდა დაუქვემდებარონ; პარტიამ უნდა სცნას პროფესიონალური მოძრაობა ძალის ფაქტორათ, თანასწორ-უფლებიან და სრულ-უფლებიან ფაქტორათ. პროფესიონალურ მოძრაობის მიზანი იგივეა რაც პარტიისა, მაგრამ პირობები და ამოცანები მის განვითარებისა სულ სხვაა, იმდენათ სხვაა იგი, პროფესიონალური მოძრაობა,—თვის დასასაბუთებლათ საჭიროებს განსაკუთრებულ თეორიას. პროფესიონალურ კავშირთა სამართველოს (правленіе) კონფერენციაზე ბრიკ-მანმა (ლურგალია) სთქვა: „მიზეზი უთანხმოებისა, რომელიც სუფევს პროფესიონალურ მოძრაობასა და პარტიას შორის,—არის თეორია, რომელსაც პარტია ჩაბღაუჭებია. ამ თეორიით ბრძოლა თავი და თავი მომენტია პროფესიონალურ მოძრაობაში; ჩვენთვის კი, ბრძოლა მხოლოთ იარაღია მიზნის მისაღწევათ—მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ... ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ ჩვენით თეორია“.

„დიახ, ჩვენ შევქმნით ჩვენს თეორიას—ამბობს ბრიკ-მანთან ერთათ პეპლოვი (ქვის მთლელია) და, რასაკვირველია, თავის-თავათ იგულისხმება, რომ ჩვენ ჩვენის თეორიით გავლენას ვიქონიებთ პარტიის თეორიაზე“... რაგვარი უნდა იყოს ეს სპეციალური ფილოსოფია პროფესიონალური კავშირებისა, ჩვენ კიდევ არ ვიცით, თუმცა სფუძვლის შენება იწყება. მაგალითათ, მიულერი ხსნის თუ რა უნდა ედოს ამ მოძრაობას საფუძვლათ: „პროფესიონალურ მოძრაობაში ჩვენ არ უნდა გავყვეთ გრძნობებს, არ უნდა დაგვიქვემდებაროს რომანტიზმმა, გადამწყვეტ ელემენტათ ჩვენთვის უნდა იყოს აზროვნება და ყველაზე უწინ სრული რეალიზმი“. გრძნობის გავლენა და აღფრთოვანება—ეს რუსეთის რევოლიუციის გავლენაა; რომანტიზმი—ეს კლასიური, რევოლიუციონური ტენდენციაა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. მარჯვენა მხარის წმინდა სინდიკალისტებს—და აი სწორეთ ესენი არიან ცენტრალისტურ პროფესიონალური კავშირების ბელადნი, არ სწამთ აუცილებლობა და შესაძლებლობა ძალდატანებითი გარდაქმნისა.

ისინი სოციალისტებია, მაგრამ მათი აზრით დღევანდელი საზოგადოება ნელ-ნელა დღითი-დღე „იცვლება სოციალისტურ საზოგადოებათ“. წინააღმდეგნი არიან რა ყოველივე „რევოლიუციონური ფრაზისა“, წმინდა სინდიკალისტები თხოულობენ პარტიის მოღვაწეებისაგან, „რაც შეიძლება მეტ თეორეტიულ გარკვევას, მეტ თავისთავის კრიტიკას, თავდაჭერილობას და უფრო მეტათ მოთმინებას“...

როგორც დავინახეთ ამ მოკლე ციტატებიდან, თეორია, რომელსაც სინდიკალისტები ეძებენ, დიდი ხანია ნაპოვნია ბერნშტეინისგან. ამავე კონფერენციაზე, შესანიშნავ გულახდილათა სთქვა პეპლოვმა: „ჩვენ გვინდა ერთობა (პარტიასთან), მაგრამ ამავე დროს გვსურს რომ ჩვენმა შეხედულებამ დაიჭიროს უპირატესობა“. აი ამ შეხედულებით უნდა განმარტოს სინდიკატების პარტიასთან დამოკიდებულება. სინდიკატები მიილტვიან იმავე მიზნისაკენ, რისაკენაც მიილტვის პარტია; სინდიკატები იმდენათ ძლიერნი არიან, რომ შეუძლიათ იქონიონ აგრეთვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა... სოციალ-დემოკრატიული პარტია უნდათ სინდიკატებს მხოლოდ, როგორც დამცველი მათი ინტერესებისა პარლამენტში. პარტია უნდა ცდილობდეს კანონმდებლობითი გზით დააკანონოს სინდიკატების ეკონომიური ბრძოლით მოგებული რეფორმები. აი აქედან გამომდინარეობს გერმანიის სინდიკალი-

---

შეუძლებელია იქამდე, სანამ პიროვნება არ განთავისუფლდება, რის გამოც მისი ლოზუნგია: „ყველაფერი პიროვნების თვის“; მაშინ, როდესაც მარქსიზმის ქვაკუთხედი მასსა, რომლის განთავისუფლება, მისი აზრით, უმთავრესი პირობაა პიროვნების განთავისუფლებისა, ე. ი. მარქსიზმის აზრით, პიროვნების განთავისუფლება შეუძლებელია იქამდე, სანამ მასსა არ განთავისუფლდება, რის გამოც მისი ლოზუნგია: „ყველაფერი მასსისთვის“.

ცხადია, აქ ორი ერთი-მეორის უარმყოფელი პრინციპია, და არა მარტო ტაქტიკური უთანხმოება.

ჩვენი წერილების მიზანია ერთმანეთს დაუპირდაპიროს ეს ორი მოწინააღმდეგე პრინციპი, ერთმანეთს შეადაროს მარქსიზმი და ანარხიზმი და მით ნათელ-ჰყოს მათი ღირსებანაკლულევანება; ამასთანავე საჭიროთ ვცნობთ აქედანვე გავაცნოთ მკითხველს წერილების პლანი.

ჩვენ დავიწყებთ მარქსიზმის დახასიათებით, შიგა და შიგ შევეხებით ანარხისტების შეხედულებას მარქსიზმზე და შემდეგ გადავალთ თითონ ანარხიზმის კრიტიკაზე, სახელდობრ: დიალექტიური მეტოდი, ანარხისტების შეხედულება ამ მეტოდზე და ჩვენი კრიტიკა; მატერიალისტური თეორია, ანარხისტების შეხედულება და ჩვენი კრიტიკა (აქვე იქნება სოციალისტურ რევოლიუციაზე, სოციალისტურ დიქტატურაზე, პროგრამა-მინიმუმზე და, საერთოთ, ტაქტიკაზე); ანარხისტების ფილოსოფია და ჩვენი კრიტიკა; ანარხისტების სოციალიზმი და ჩვენი კრიტიკა; ანარხისტების ტაქტიკა, ორგანიზაცია და შემდეგ ჩვენი დასკვნა.

ჩვენ ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ ანარხისტები, როგორც პაწია ჯგუფთა სოციალიზმის მქადაგებელნი, არ არიან ნამდვილი სოციალისტები.

ვეცდებით აგრეთვე დავამტკიცოთ, რომ ანარხისტები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის უარმყოფელნი, არც ნამდვილი რევოლიუციონერები არიან...

მაშ, შეუდგეთ საქმეს.

I.

დიალექტიური მეტოდი.

„ყველაფერი მოძრაობს ქვეყანაზე... იზრდება საწარმოვო ძალები, იცვლება ცხოვრება, ინგრევა ძველი ურთიერთობანი“. კ. მარქსი.

მარქსიზმი არ არის მარტო სოციალიზმის თეორია,—ეს მთელი მსოფლიო მხედველობაა, ფილოსოფიური სისტემაა, საიდანაც თავისთავათ გამომდინარეობს მარქსის პროლეტარული სოციალიზმი. ამ ფილოსოფიურ სისტემას-კი დიალექტიური მატერიალიზმი ეწოდება.

ცხადია, მარქსიზმის დასურათება—ეს იმავ დროს დიალექტიური მატერიალიზმის დასურათება იქნება.

რატომ ჰქვია ამ სისტემას დიალექტიური მატერიალიზმი?

იმიტომ, რომ მისი მეტოდი დიალექტიურია, ხოლო მისი თეორია—მატერიალისტური.

რა არის დიალექტიური მეტოდი?

ამბობენ, რომ ცხოვრება დაუდგრომელ ზრდა-განვითა-

ზმის დამახასიათებელი თვისება. იგი ხელმძღვანელობას უწევს სოციალ-დემოკრატიულ ტაქტიკას პარლამენტარულ მოქმედებაში. იგი ერთათ ათავსებს წმინდა სინდიკალიზმს და წმინდა პარლამენტარიზმს. მთელი ქვეყნის ოპორტიუნისტების ლეიტ-მოტივი ერთი და იგივეა: არავითარი პოლიტიკა პროფესიონალურ კავშირებში და მხოლოთ პარლამენტარული პოლიტიკა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. პროფესიონალური კავშირები თავს უყრიან მთელ მუშათა კლასს, იბრძვიან მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის—და მით დღევანდელ საზოგადოებაში საძირკველს უყრიან მომავალ წესწყობილებას, პროლეტარიატის პარლამენტარული ფრაქცია კი ჰქმნის პროფესიონალური მოძრაობისთვის შესაფერ პირობებს, აკანონებს კანონმდებლობითი გზით სინდიკატთა გამარჯვებას.

მე ვლაპარაკობდი აქამდის მარჯვენა მხარის წმინდა სინდიკატებზე. ამ უკანასკნელ წლებში გერმანიაში დაიწყო ფეხის გადგმა მეორე გვარ სინდიკალურმა მიმდინარეობამ—ანარხო-სოციალიზმმა, ეს მარცხენა მხარეა წმინდა სინდიკალიზმისა. ამ ორივე მხარეს აერთებს ერთი და იგივე რწმენა პროფესიონალურ მოძრაობისადმი; ამ ტენდენციათა საბოლოვო მიზანი —სოციალისტური წესწყობილებაა; პარტიამ მხოლოდ მაშველებლის როლი უნდა ითამაშოს სინდიკატთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ასეთია ამ ორ ტენდენციათა საერთო, შემაერთებელი პუნქტები. მაგრამ, თუ ოპორტიუნისტ-სინდიკალისტებისთვის პროფესიონალური მოძრაობა კანონს გარეშე არ უნდა გადიოდეს, რევოლიუციონერ სინდიკალისტებისთვის პროფესიონალური მოძრაობა არის ძლიერი რევოლიუციონური ბრძოლის იარაღი, რომელიც გამოსადეგია არამც-თუ ზოგიერთა რეფორმების მოსაპოვებლათ,—როგორც მაგალითად 8 საათის სამუშაო დღე,—არამედ მომავალ სოციალისტურ

წეს-წყობილების განსახორციელებლათაც. თუ პირველნი ზედმეტ მნიშვნელობას აწერენ პარტიის პარლამენტარულ მოქმედებას, სამაგიეროთ მეორენი სულ უარჰყოფენ მას. თუ პირველნი ცდილობენ ცენტრალისტურათ და შეიძლება ვსთქვათ ბიუროკრატიულათ პროფესიონალური კავშირების მოწყობას, სამაგიეროთ მეორენი თავის ძალ-ღონეს ამყარებენ დეცენტრალურ,—ავტონომიურათ მოწყობილ ადგილობრივ ორგანიზაციებზე. ანარხო-სოციალიზმი განვითარდა გერმანიაში, როგორც რეაქცია, პარტიასა და პროფესიონალურ კავშირებში გამეფებულ ოპორტიუნიზმის წინააღმდეგ. ამავე დროს ცენტრალისტურ პროფესიონალური კავშირების ბელად-ოპორტიუნისტებს თვალსაჩინო ხელმძღვანელი ადგილები უჭირავთ პარტიაში და ამიტომ გავლენაც აქვთ მასზედ, ანარხო-სოციალისტები, რასაკვირველია, ოპოზიციაში არიან პარტიასთან და ამიტომ არც გავლენა აქვთ უკანასკნელზე. მხოლოთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მარცხენა მხარისა და კერძოთ როზა ლიუქსებურგის მეოხებით არ გამორიცხა მანჰეიმის სიეზდმა ანარხო-სოციალისტები პარტიიდან, რაც ძაან სურდათ ოპორტიუნისტებს.

კვირიდან კვირამდე.

—

— პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ მესამემ 1815 წელს, როცა მისი ჯარი დაიძრა ბელგიისკენ ნაპოლეონის წინააღმდეგ, დიდის ამბით აუწყა ხალხს, რომ განიჭებთ კონსტიტუციასო. გათავდა ომი და დიდებულმა მეფემ უცბათ შესცვალა თავისი გადაწყვეტილება და ხალხი რომ არ აჯანყებოდა ამიტომ სხვა-და-სხვა ხრიკებს მიმართა, დანიშნა კომისიები, კომისიებს პოდკომისიები. მოყვა და გაჩაღდა მუშაობა. მეფემ

რებაშიაო. და ეს მართალიც არის: ცხოვრება არ არის ერთი რამ მუდმივი და გაყინული, ის არასოდეს არ ჩერდება ერთ დონეზე—ის მუდმივს მოძრაობასა და ნგრევა-შენებაშია. ამიტომ არის, რომ ცხოვრებაში მუდამ არსებობს ახალი და ძველი, მზარდი და მომაკვდავი, რევოლიუცია და კონტრრევოლიუციაა.

დიალექტიური მეტოდი ამბობს, რომ ცხოვრება სწორეთ ისე უნდა განვიხილოთ, როგორც ის სინამდვილეში არსებობს. ჩვენ ვნახეთ, რომ ცხოვრება დაუდგრომელ მოძრაობაშია,—მაშასადამე ჩვენი ვალია მის მოძრაობაში განვიხილოთ იგი და ვიკითხოთ: საით მიდის ცხოვრება? ჩვენ ვნახეთ, რომ ცხოვრება მუდმივს ნგრევა-შენებაშია,—მაშასადამე, ჩვენი ვალია მის ნგრევა-შენებაში განვიხილოთ იგი და ვიკითხოთ: რა ინგრევა და რა შენდება ცხოვრებაში?

ამგვარათ, ცხოვრების განხილვა მის დაუდგრომელ მოძრაობასა და ნგრევა-შენებაში—ასეთია დიალექტიური მეტოდის პირველი დასკვნა.

ის, რაც ცხოვრებაში იბადება და დღითი დღე იზრდება—უძლეველია, მისი წინმსვლელობის შეჩერება შეუძლებელია. ე. ი. თუ, მაგალითათ, პროლეტარიატი იბადება, როგორც კლასი და დღითი დღე იზრდება,—რაც უნდა სუსტი და მცირე რიცხვოვანი იყვეს ის დღეს, ბოლოს მაინც გაიმარჯვებს. რატომ? იმიტომ, რომ ის იზრდება, მატულობს და წინ მიდის.

სამაგიეროთ, ის, რაც ცხოვრებაში ბერდება და სამარისკენ მიექანება,—აუცილებლათ უნდა დამცხდეს, თუნდაც რომ

ის დღეს ბუმბერაზ ძალას წარმოადგენდეს. ე. ი. თუ მაგალითათ ბურჟუაზია თანდათან ნიადაგს კარგავს და უკან მიდის,—რაც უნდა ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყვეს ის დღეს, ბოლოს მაინც დამარცხდება. რატომ? იმიტომ, რომ ის იშლება, როგორც კლასი, ის სუსტდება, ბერდება და მეტ ბარგათ ხდება ცხოვრებაში.

აქედან წარმოსდგა ცნობილი დიალექტიური თქმულება: ყოველივე ის, რაც ნამდვილათ არსებობს, ე. ი. ყოველივე ის, რაც დღითი დღე იზრდება—გონიერია; ხოლო ყოველივე ის, რაც დღითი დღე იშლება—უგონოა და, მაშასადამე, დამარცხებას ვერ ასცდება.

ასეთია დიალექტიური მეტოდის მეორე დასკვნა.

მაგალითი. წასული საუკუნის მეოთხმოცე წლებში დიდი კამათი ატყდა რუსეთის რევოლიუციონურ ინტელიგენციაში. ნაროდნიკები ამბობდენ, რომ უმთავრესი ძალა, რომელსაც შეუძლია თავს იდოს „რუსეთის განთავისუფლება“,—ეს სოფლისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიაო. რატომ? ეკითხებოდენ მარქსისტები. იმიტომ, რომ სოფლისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია დღეს უმეტესობას შეადგენს და, გარდა ამისა, ძალიან ღარიბებიც არიანო.

მარქსისტები პასუხობდენ: მართალია, სოფლისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია დღეს უმეტესობაა და ძალიან ღარიბებიც არიან, მაგრამ განა ამაშია საქმე? წვრილი ბურჟუაზია დიდი ხანია უმეტესობას შეადგენს, მაგრამ დღემდის პროლეტარიატის დაუხმარებლათ არავითარი თაოსნობა არ გამო-

ᲓᲐᲜᲘᲐ—ევროპის ერთი პატარა სახელმწიფო, გერმანიის ჩრდილოეთით.

Ე

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ—ყოველივე ის, რაც შეეხება ადამიანთა შორის ქონებრივ განწყობილებას.

ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲜᲘ—საჩქარო.

ᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ—თანდათანობითი განვითარება ბუნებისა, ცხოველების, ან საზოგადო ცხოვრებისა მარტივ ფორმებიდან რთულ ფორმებამდე.

ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ—ძირითადი შემადგენელი ნაწილები.

ᲔᲒᲖᲔᲛᲠᲚᲘᲐᲠᲘ—ერთი ცალი წიგნისა, გაზეთისა, ან რაიმე სხვა საგნისა.

ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ—ძალა, მუყაითობა.

Ვ

ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲘ—ცეცხლის მფრქვეველი მთა. ქართულათ—სანძარი.

ᲕᲝᲚᲒᲐ—უდიდესი მდინარე რუსეთში.

ᲕᲘᲢᲔ—ცნობილი ბიუროკრატი, რომელმაც თავი ისახელა „კონსტიტუციის“ შემოღებით, პაგრომების პოლიტიკით და დამსჯელი რაზმების შემოღებით.

ᲕᲘᲚᲰᲔᲚᲛ II—გერმანიის იმპერატორი.

Ი

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ—წესების, ან დირექტივების კრებული რაიმე საქმისათვის სახელმძღვანელოთ.

ᲘᲐᲩᲔᲘᲙᲐ—უჯრედი, ძირითადი ორგანიზაცია

ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲐ—საზოგადოების გონებრივათ განვითარებული ნაწილი.

ᲘᲜᲡᲢᲘᲥᲢᲘ—თანდაყოლილი მისწრაფება, ან ლტოლვილება ცხოველებისა თუ ადამიანისა თავის დაცვისადმი. საზოგადოთ შეუგნებელი ლტოლვილება რაიმე მიზნისაკენ.

(შემდეგი იქნება.)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ.

პირველი კერძო სამკურნალო

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ

ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

დაარსებულია 1880 წელს

(ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ)

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ.

ᲓᲘᲚᲐᲝᲒᲘᲗ:

Გ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ: 11—12 ს. ქირურგ., ვენერ. (სიფილისი და საშარდ. ავადმ.

Უ. Მ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ: 9 ნახევ.—10 საათ. თვალისა, შინაგან და ნერვების ავადმყ.

Წ. Ი. ᲒᲐᲒᲐᲜᲐᲡᲝᲕᲘ: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობ.

Მ. Გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲘ: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერ. და ქირურგ. ავადმყ.

Ჯ. Ი. ᲒᲙᲔᲚᲘᲬᲕᲘᲚᲘ: 11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.

Ა. Ჯ. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ: 1—1 ნახევ. ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.

Ა. Ი. ᲨᲘᲠᲠᲒᲘᲜᲘᲜᲐ: 1 ნახ.—2 ს. საბებიო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფობანი.

Გ. Ი. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲝᲕᲘ: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲒᲘᲗ:

Ა. Მ. ᲞᲣᲒᲘ: ᲕᲘ: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

Ნ. Გ. ᲐᲒᲘᲐᲜᲪᲘ: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფ.

Გ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ: 7—7 ნახ. ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი—მედიცინის დოქტორი ბ. ს. ნავასარდიანი.

ექიმი ე. მ. ჩიქოვანი

იღებს ყოველ-დღე ავათმყოფებს 12—2 საათ.—ვორონცოვის ქუჩის პირდაპირ, სახლი № 17.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ახალი დროება № 5

სიტყვების ახსნა.

ა

აგიტაცია—სიტყვის, მწერლობის, ან სხვაგვარი მოქმედების საშუალებით საზოგადოების აღელვება, რაიმე მიზნის მისაღწევათ.

აგიტატორი—ადამიანი რომელიც აგიტაციას ეწევა.

აგენტი—რწმუნებული მთავრობის, ან რომელიმე საზოგადო ან კერძო დაწესებულებისა.

ადვოკატი—დამცველი სასამართლოში.

არსენალი—ადგილი იარაღის საკეთებელი და შესანახავი.

ავსტრია—ევროპის ერთი სახელმწიფოთაგანია, რომელიც მდებარეობს რუსეთსა, გერმანიასა და იტალიას შორის.

ავანსი—წინდაწინვე სახარჯავათ მიცემული ფულები მომავალ კუთვნილ ანგარიშში.

ანტიმილიტარიზმი—მიმართულება, რომელიც წინააღმდეგია დღევანდელ სახელმწიფოებში არსებულ მუდმივი ჯარისა და სამხედრო ძალების გაძლიერებისა.

ბ

ბირჟა—1) დაწესებულება, სადაც თავს იყრის ვაჭრები სავაჭრო საქმეების მოსაწესრიგებლათ; აქვე თავს იყრის ცნობები ყოველ ქვეყნიდან ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ. 2) ბირჟა შრომისა—მუშათა დაწესებულება, რომელიც შუამავლობას ეწევა დამქირავებელ და მუშებ შორის.

ბანკი—დაწესებულება, რომელიც ფულების სესხებისა და გასესხების საქმეს აწარმოებს.

ბანკირი—ბანკის საქმეთა მწარმოებელი ანუ მმართველი. აგრეთვე კაპიტალისტი, რომელიც ბანკზე მოსესხებული ფულებით აგროვებს მოსაგებს.

ბოიკოტი—ირლინდიელ მემამულის სახელია, რომელთანაც პირველათ გლეხებმა შესწყვიტეს კავშირი და მით აიძულეს მამული მიეტოვებინა. აქედან ბოიკოტს ეძახიან ყოველგვარ კავშირის შეწყვეტას საზოგადოების ან მუშების-მიერ ვისმესთან, იმ აზრით, რომ აიძულონ დათმობა.

ბიბლიოთეკა—წიგნების შესანახავი დაწესებულება, საიდანაც მსურველს შეუძლია წასაკითხავათ წიგნის წაღება სახლში, ან იქვე წაკითხვა.

ებელი—გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიის მეთაურთაგანი, ცნობილი ორატორი რეიხსტაგში და მუშათა კრებებზე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარონი—საშუალო საუკუნოებში გერმანელ-თავად-აზნაურობის ისეთ პირთა ტიტული, რომელნიც მეფესთან ყველაზე ახლოს იდგენ.

გ

გალილეი—იტალიელი შესანიშნავი მეცნიერი (1564—642) რომელმაც აღმოაჩინა კანონი სხეულთა მოძრაობისა, ამტკიცებდა, სხვათაშორის, რომ დედამიწა ბურთის მსგავსია და მზის გარშემო ტრიალებსო, რისთვისაც მუდამ სდევნიდა სამღვდელოება და ბოლოს სიკვდილით დასაჯა.

გედი—შესანიშნავი დამაარსებელი და მეთაური საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა, შეურყეველი დამცველი რევოლიუციონურ მარქსიზმისა, რისთვისაც გამუდმებით ბრძოლა უხდება თავის მემარჯვენე ამხანაგებთან. სასტიკი წინააღმდეგია ბურჟუაზიულ პარტიებთან ყოველგვარ ბლოკისა და კავშირის შეკვრისა. დაიბადა 1845 წელს.

გიგიენა—მეცნიერება ჯანმრთელობის დაცვისა და ავათმყოფობის აცილების შესახებ.

დ

დელეგაცია—კრების მიერ არჩეული რამდენიმე პირი რაიმე დავალების შესასრულებლათ, მაგ., ვისმესთან მოსალაპარაკებლათ და სათხოვნელათ.

დელეგატი—რაიმე დავალების შესასრულებლათ არჩეული პირი.

დეპუტატი—ჯგუფის, საზოგადოების, ან ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენელი რაიმე ვალდებულების შესასრულებლათ; აგრეთვე წევრი საკანონმდებლო დაწესებულებისა.

დოკუმენტი—წერილობითი საბუთი.

დირექტივა—დარიგება, სახელმძღვანელო აზრების მიცემა იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცეს ის ამა თუ იმ პირობებში.

დიქტატორი—პირი, რომელსაც დროებით ეძლევა განუსაზღვრელი უფლება—მიიღოს უკიდურესი ზომები ამა თუ იმ წესების დასაცავათ.

დიქტატურა—განუსაზღვრელი ბატონობა ამა თუ იმ ჯგუფის, კლასის ან კერძო პირის, ამა თუ იმ ახალი, ან ძველი წესების დასაცავათ.

დებატები—კამათი კრებებზე რაიმე კითხვის გადასაჭრელათ.

დისკუსია—კამათი კრებებზე სხვა-და-სხვა აზრებისა და მოძღვრების მომხრეთა შორის.

ხელმეორეთ აუწყა ხალხს, რომ კონსტიტუცია დიდი სახელმწიფოებრივი აქტია და კარგათ შემუშავება უნდაო. მეფის კომისიები მუშაობდა მთელ რვა წელიწადს. ხალხი დიდიე მოთმინებით ელოდა—დღეს არა ხვალ შეიმუშავებენ რაღაც ჯანდაბა კონსტიტუციაოო. რვა წლის განმავლობაში მეფის მთავრობამ წელი მოიმაგრა და შესაძლებლათ დაინახა აშკარათ გამოეცხადებია ხალხისათვის თავის განზრახვანი. და ერთ მშვენიერ დღეს აუწყეს პრუსიის ხალხს:—„ჩუმათ! კრინტი არ დასძრათ. დღეიდან იცოდეთ, რომ არავითარ კონსტიტუციას არ გაძლევთ და თვითმპყრობელობის კლანჭებში უნდა ამოგხდეთ სულიო“. რუსეთის მთავრობა ცოტა სხვა რიგათ მოიქცა. კონსტიტუცია ომის გათავების შემდეგ გამოცხადდა. ომის დაწყებამდი რუსეთის მთავრობას დიდი იმედი ქონდა თავის ძლიერების, მარა, როცა ერთი მუჭა იაპონიის ხალხმა სამარცხვინოთ დაამარცხა, როცა გარეთ დამარცხებულს შინ რევოლიუციის ქარ-ბუქი აუტყდა, შედრკა. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ მან ხრიკს მიმართა და ხალხის დასამშვიდებლათ კონსტიტუცია გამოაცხადა. შედგა ბულიგინის კომისია. ეს კომისია თუმცა რვა წელიწადი არა, მარა მაინც კარგა ხანს მოუნდა პროექტის შედგენას *). მოიწვიეს დუმა. შეიკრიბენ ხალხის წარმომადგენელნი და გამართეს თათბირი მთავრობის ამა თუ იმ მოქმედებაზე. მთავრობის საზიზღარი მოქმედება გამომჟღავნდა და ხალხის წარმომადგენლებმა მოითხოვეს მინისტრების სამართალში მიცემა. სანამ ხალხის წარმომადგენლები ბჭობდენ, მთავრობა დაფაცურდა და უცხოელ ბანკირ მენდელსონის წყალობით სესხი იშოვნა. სესხის შოვნა და საქმის გაჩარხვა ერთი იქნა. წყეული ფული, თორემ აბა რაში ეპრიანებოდა მთავრობას დუმა და ხალხის წარმომადგენლები? იფრინეს ჩვენი დეპუტატები. დახურეს დუმა. ხალხს უმაღლესი მანიფესტით აუწყეს, რომ თქვენი გამოგზავნილი კაცები „ავყიები“ გამოდგენ, ლანძღვა-გინება დაგვიწყეს და საქმის კეთებაზე ხელი შეგვიშალეს, ამიტომ გავრეკეთ და ისევ სხვები აირჩიეთო. მეორე დუმის მოწვევა თებერვლისთვის დაინიშნა. მოიშორა თუ არა თავიდან „კრამოლნიკური“ დუმა, მთავრობა ენერგიულათ შეუდგა მეორე დუმისთვის მზადებას. ამოძრავდა ბიუროკრატიული მექანიზმი, ალაპარაკდა პულემიოტ-ზარბაზნები, „გადიქაჩა“ ალიხან-რიმან-მელლერ-ზაკომელსკები, შეიარაღდა ნაფთით და სპიჩკით ხულიგან-პატრიოტები, გაჩაღდა სამხედრო-საველე სასამართლოები. მთავრობამ მოინდომა ხალხის შემუსვრა. ყველაზე მეტი ენერგია სენატმა გამოიჩინა: განმარტებები განმარტებებს მოარტყა და ხალხის საარჩევნო უფლება შეკრიჭ-შეზღუდა. მთავრობამ ყველა ჯალათური საშუალება იხმარა! მარა არაფერმა უშველა. ამ ბოლო დროს მან აშკარათ დაინახა, რომ მისი სურვილი არ განხორციელდება, დუმა „ხულიგანური“ არ იქნება. ხალხი თავის ინტერესების დამცველებს გაგზავნის დუმაში. თან გურკოლიდვალის საქმე მეხივით დაატყდა თავზე, თან ფულებიც აღარ აქვს. მდგომარეობა კრიტიკულია და ამ მდგომარეობიდან დასახწევათ უკანასკნელ საშუალებისთვის მიუმართავს. როგორც დანამდვილებით ამბობენ გაზეთები, **მთავრობას გადაუწყვეტია დუმის მოწვევა ორი-სამი თვით გადასდოს**. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ასე უნდა ქნას, რადგან ამ ხნის განმავლობაში მთავრობა მოახერხებს სესხის შოვნას. მენდელსონი კარგათ იყოს და აბა სესხს როგორ არ იშოვნის? ხმები დადის, უკვე გაჩარხულია საქმეო. თუ ღმერთი შეეწია და სესხი იშოვნა, მერე... თუ ფრიდრიხ ვილჰელმის ტაქტიკას არ დაადგა...

*) მარა, ის ვერ ეღირსა განხორციელებას. დაიწყო დიდებული დღეები ოქტომბერ-დეკემბრის თვეებისა... მანიფესტი... ვიტე-დურნოვოს კონსტიტუცია... ახალი დუმის მოწვევის გამოცხადება...

უჩენია „თავისუფლებისთვის“ ბრძოლაში. რატომ? იმიტომ, რომ წვრილი ბურჟუაზია, როგორც კლასი, არ იზრდება,—პირიქით—ის დღითი დღე იშლება და ბურჟუებათ და პროლეტარებათ იყოფა.

მეორე მხრივ, თქმა არ უნდა, რომ არც სიღარიბეს აქვს აქ გადამჭრელი მნიშვნელობა: „ბოსიაკები“ წვრილ ბურჟუაზიაზე ღარიბები არიან, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ისინი „რუსეთის განთავისუფლებას“ იკისრებენ.

როგორც ხედავთ, საქმე იმაში არა ყოფილა, თუ რომელი კლასი წარმოადგენს დღეს უმეტესობას, ან და რომელი უფრო ღარიბია,—საქმე მხოლოთ იმაშია, თუ რომელი კლასი მაგრდება და რომელი იშლება.

და რადგანაც პროლეტარიატი ერთათ ერთი კლასია, რომელიც შეუჩერებლათ იზრდება და სიცოცხლისკენ მიილტვის, რომელიც მთელ ცხოვრებას არყევს და თავის გარშეა, რომელიც მთელ ცხოვრებას არყევს და თავის გარშემო იკრებს ყველა რევოლიუციონურ ელემენტებს,—ამიტომ ჩვენი ვალია უმთავრეს ძალათ ვაღიაროთ ის დღევანდელ მოძრაობაში, გვერდში ამოუდგეთ მას და მისი მოწინავე სურვილები ჩვენ სურვილებათ გავიხადოთ.

ასე პასუხობდენ მარქსისტები.

ცხადია, მარქსისტები დიალექტიურათ უყურებდენ ცხოვრებას; მაშინ როდესაც ნაროდნიკები მეტაფიზიკურათ მსჯელობდენ,—ცხოვრება ერთ წერტილზე შეყინულათ ჰქონდათ წარმდგენილი.

ასე უყურებს დიალექტიური მეტოდი ცხოვრების მოძრაობას.

მაგრამ მოძრაობაც არის და მოძრაობაც. ცხოვრების მოძრაობა იყო „დეკემბრის დღეებში“, როცა წელში გამართული პროლეტარიატი იარაღის სკლადებს ეცემოდა და იერიშით მიდიოდა რეაქციაზე. მაგრამ ცხოვრების მოძრაობა უნდა დაერქვას აგრეთვე წინა წლების მოძრაობას, როცა „დამშვიდებული“ პროლეტარიატი პატარა კავშირებს ადგენდა და ალაგ-ალაგ იფიცებოდა

ცხადია მოძრაობას სხვა და სხვა ფორმები ჰქონია.

და აი, დიალექტური მეტოდი ამბობს, რომ მოძრაობის ფორმა ორგვარია: ევოლიუციონური და რევოლიუციონური.

ევოლიუციონურია მოძრაობა როცა პროგრესიული ელემენტები სტიქიურათ განაგრძობენ თავიანთ ყოველ დღიურ მუშაობას, როცა მათ წვრილ-წვრილი, რაოდენობითი ცვლილება შეაქვთ ძველ წესებში.

რევოლიუციონურია მოძრაობა, როცა იგივე ელემენტები ერთათ ჯგუფდებიან, ერთი იდეით იმსჭვალებიან და აჩქარებული ნაბიჯით მიექანებიან მტრის ბანაკისკენ, რომ ძირიანათ მოსპონ ძველი წესები მათი **ნიშნობლიკი თვისებებით** და დაამყარონ ახალი.

ევოლიუცია ამზადებს და ნიადაგს აძლევს რევოლიუციას. ხოლო რევოლიუცია აგვირგვინებს ევოლიუციას და ხელს უწყობს მის მერმინდელ მუშაობას.

ასეთია შინაარსი დიალექტიური მეტოდისა.

როგორ უყურებენ ანარხისტები დიალექტიურ მეტოდს?

კო...

სტოლიპინის სიტყვებს მაინც გაამართლებს ჩვენი მთავრობა და... მეორე დუმასაც იფრენს...

— ეპვი არაა რომ იფრენს, მარა ჯერ საქმე აქამდე არ მისულა. ჯერ მთავრობას კიდევ იმედი აქვს, უკეთუ დუმის მოწვევის ვადა გაგრძელა საქმე სასურველათ დააგვირგვინოს. წყალობითა ღვთისათა და განმარტებითა თვისითა სენატი იმდენს იზამს, რომ მოხდება ის, რაც შოტლანდიის ერთ სგრაფოში მოხდა 1818 წელს. „ამ საგრაფოში არჩევნები იყო დანიშნული, 14,000 მცხოვრებთაგან უნდა აერჩიათ 31 ამრჩეველი. არჩევნებზე გამოცხადდა ერთი კაცი, მან გახსნა კრება, დანიშნა თავის თავი თავმჯდომარეთ, ამოიკითხა ყველა ამრჩევლების სახელ გვარები, სხვათა შორის თავისიც და თვითონვე უპასუხა თავის თავს—„აქ ვარო“. წარმოსთქვა სიტყვა თავის სასარგებლოთ, შემდეგ კენჭი იყარა და თავი არჩეულათ გამოაცხადა“... სენატიც... მთავრობას გაიყვანს დუმაში... თავმჯდომარეც ის იქნება, ბატონ-პატრონიც და ჯალათიც... მარა ფულები?“.

— ფულები რომ საქმეს უჭირვებს მთავრობას ამაში ეპვი არაა. „გურკო-ლიდვალ“ თაგვებს სულ დაუცოცხავს ხაზინა, გახვრეტილი გროში აღარა აქვს თურმე. ტირიან გენერალ-გუბერნატორები, ცრემლით ევედრებიან მთავრობას—გადმოგვიგდეთ ორიოდ გროშიო, მარა ამაოდ, პასუხათ ერთი და იგივე ესმით: თქვენ თვითონ ეცადეთ რამე, თორემ ჩვენ აღარაფერი შეგვიძლიაო. ამას წინათ ერთ გენერალ-გუნერნატორს მიუწერია მთავარ სამხედრო პროკურორ გენერალ პავლოვისათვის: „სამხედრო-საველე სასამართლო დიდ შრომაშია ჩემ საბრძანებელში და მოიღეთ წყალობა მოსამსახურეებისთვის, ჯამაგირათ ფულები მოგვეცითო“. გენერალ პავლოვს უპასუხია: „არა გვაქვსო, თუ შესაძლებელია სადმე ადგილობრივ ითხოვეთ სტოლი, ლამპა და სხვა საჭირო ნივთები‘‘... მერე და ვინ არ ათხოვებს ასეთ საზოგადო სასარგებლო საქმისთვის სტოლს და ლამპას?!...

— სამხედრო-საველე სასამართლოები, რომ დიდ შრომაშია და დიდი სარგებლობა მოაქვს ამას ის ამტკიცებს, რომ 28 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე სულ ჩამოუხრჩიათ **თვრამეტი კაცი**!.. სამართალში რამდენია მიცემული ამ ხნის განმავლობაში იმას ვინ მოსთვლის?... ხუთი დღის განმავლობაში თვრამეტი კაცის გასამართლება და ჩამოხრჩობა ხუმრობა საქმე არაა... ასეთი სასამართლოები ჯილდოს ღირსია და... მოვა დრო რომ ხალხი ღირსეულათაც დააჯილდოვებს.

— თავის დაწესებულება, რომ არ იჯერებს მთავრობის უფულობას სხვამ როგორ უნდა დაიჯეროს? ამ უკანასკნელ ხანებში შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობა აღუძრავს ფინანსთა სამინისტროს წინაშე: „გვიქენით წყალობა, უკვე ბოძებული 250 ათასი მანეთი არ მეყო, მინდა საიდუმლო პოლიცია გავაძლიერო და კიდევ გვიბოძეთ 250 ათასი მანეთიო ფინანსთა სამინისტრო აბა რას იზამდა ამ შუამდგომლობაზე, ფული არა აქვს და უპასუხნია. რადგან ხაზინაში ფულები აღარ არის და ვერაფერს ვერ მოგცემთ, ისევ იქნება იმ 10 მილიონიდან გადაგრჩათ რამე, რომელიც პირდაპირ თქვენს განკარგულებაში იყო და ის მოიხმარეთო? კაი საქმეა საიდუმლო პოლიციის გაძლიერება და როგორმე მოაწყვეთო“.

— საზოგადოთ პოლიცია და უმეტესათ საიდუმლო, რომ საჭიროა მთავრობისათვის და კაი საქმეა მათი გაძლიერება, ეპვს გარეშეა; თუ პოლიციამ არა, მაშ ვინ დაარღვიოს წესიერება? ვინ მოაწყოს პაგრომები? ვინ სცემოს მოსწავლე ახალგაზდობას? ამას წინათ ქალაქ მელიტოპოლში რეალურ სასწავლებლის მოსწავლეები და გიმნაზისტები დასწრებიან კრებაზე, სადაც მისული ლექტორი ლექციას კითხულობდა. პოლიციას ხელათ გაუგია ეს ამბავი, შემოურტყამს ალყა სახლისათვის და გამოურეკია გარეთ მოსწავლეები,—აქ მათ დრაგუნები ელოდათ აფიცრის მეთაურობით და გაიმართა „ნაგაიკების“ შხუილი... სცემეს რამდენიც შეეძლოთ. შემდეგ დაიჭირეს რამდენიმე მოსწავლე და აქ დაიწყო ნამდვილი „ეკზეკუცია.“ აფიცრის მეთაურობით დაჭერილები რიგზე ჩაამწკრივეს და დაუწყეს ნაგაიკების ცემა ცხვირ-პირში, მუცელზე და ხელებზე. ერთი გიმნაზიელი ქალი წაიქცა, ეს დაინახა ერთმა გოროდოვოიმ და დაუწყო ყვირილი: „აა! შენ მიწა და თავისუფლება გინდა? აჰა! მიწა!“ ის დასწვდა ძირს, აიღო ერთი მუჭა მიწა და ჩაუტენა პირში საბრალო ქალს. ამას შემდეგ ყველანი ცემატყეპით ცხვრებივით დაირეკეს თურმე სატუსაღოსკენ... ჰო და პოლიცია რო არ ყოფილიყო... ვინ ააძრობდა ტყავს მელიტოპოლის მოსწავლეებს?!

— პოლიცია რომ ძვირათ უღირს მთავრობას და ის მზათ არის მთელი ხალხი ანაცვალოს მას, ამაში ეპვი არაა. რიგის მაზრაში უგზო-უკვლოთ დაკარგულა ორი ურიადნიკი. ადგილობრივ ბოქაულს ხელათ ფიცხელი განკარგულება მოუხდენია; შეუყრია ადგილობრივი მცხოვრებლები 15—60 წლამდე, ორი ათას კაცამდე და გამოუცხადებია—უნდა თავები დაიხოცოთ და ურიადნიკები იპოვნოთო. 19 დღეა ეს ამოდენა ხალხი დაეხეტება კლდე-ღრეებში, მაგრამ ურიადნიკები მაინც ვერ უპოვნიათ. ბოქაული თურმე მეტათ განრისხებულია და ამბობს: თუნდაც ასი წელიწადი მოუნდეთ ძებნას, უნდა ეძებოთ და ორივე ურიადნიკი იპოვნოთო- საბრალო გლეხები! ასი წლის შემდეგ ურიადნიკები საჭირო აღარ იქნებიან და რომც იპოვნონ ხომ უბრალოთ ჩაუარათ შრომამ?

— უბრალოთ არ ჩაუვლია კიევის „ხულიგანების“ შრომას. კიევის „ობერ-ხულიგანი“ გუბერნატორი ვერეტენნიკოვი იმდენათ გაერთო თურმე ამ ბოლო დროს „ჭეშმარიტ რუსებთან“, რომ დემონსტრაციებშიაც-კი ღებულობდა მათთან ერთათ თურმე მონაწილეობას. ეს არ მოეწონათ უმაღლეს წრეებში და ვერეტენნიკოვი გადააყენეს. „ჭეშმარიტ რუსებმა“ ხელათ აფრინეს დეპეშა სტოლიპინთან. არამც და არამც ყელები არ დაგვჭრათ, ვერეტენნიკოვი არ დაითხოვოთ, თორემ დავიღუპეთო. პასუხი მოკლე, მარა სასიამოვნო მიიღეს: „ვერეტენნიკოვი დატოვებული არისო‘‘.

— ,,ჭეშმარიტ რუსების‘‘ თხოვნას რომ დიდი განმავლობა აქვს მთავრობასთან, ეპვი არაა. დღე არ გადის ისე რომ რამე შუამდგომლობა არ აღძრან. ეხლახან ადესიდან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისთვის გაუგზავნიათ შემდეგი შუამდგომლობა: „აუწყეთ მათ იმპერატორობითი უდიდებულესობას,—მოახდინოს განკარგულება, ნება არ ქონდეს ხალხს ქუდ-დახურული შევიდეს ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში, სადაც ხელმწიფე იმპერატორის სურათებია‘‘.

— „ჭეშმარიტ რუსებზე“ უფრო სასტიკობა პეტერბურგის ტელეგრაფის გამგეობის ინჟინერ კაუზოვს გამოუჩენია. კაუზოვს ბრძანება გამოუცია: არამც და არამც არ გაბედონ მოსამსახურეებმა და მუშაობის დროს სამ კაცზე მეტი ერთათ არ შეგროვდენ, არ ილაპარაკონ, გაზეთები არ იკითხონ და... არ გაიცინონო.... კარგია რომ დამთქნარებას მაინც არ უშლის საბრალო მოსამსახურეებს დიდებული ინჟინერი.... ვინ იცის, ეგებ ესეც დაუშალოს!...

მუშათა მოძრაობა და პროფესიონალური კავშირები.

თ ბ ი ლ ი ს ი.

თბილისის მაგარ სასმელების ქარხნების მუშათა პროფესიონალური კავშირის წესდება.

(პროექტი).

I. კავშირის მიზანი.

§ 1. კავშირის მიზანს შეადგენს:

ა) დაცვა თავის წევრთა ფიზიკური და ზნეობრივი გადაშენებისაგან და

ბ) განვითარება მათში კლასიური თვითშეგნებისა ყველა ქვეყნის პროლეტარებთან ერთად სოციალიზმის განსახორციელებლათ ბრძოლისათვის.

II. კავშირის მოქმედება.

§ 2. ამ მიზნის მისაღწევად კავშირი:

ა) დაიცავს თავის წევრთა უფლებრივ და პროფესიონალურ ინტერესებს,

ბ) ხელს შეუწყოს მათ გონებრივ და სულიერ განვითარებას და

გ) განავითარებს მათში მთელი მუშათა კლასის, პროლეტარიატის სოლიდარობას.

§ 3. იმავე მიზნით კავშირი:

ა) აერთებს თავის პროფესიის ყველა მუშებს ქ. თბილისში,

ბ) აგრეთვე თბილისის გუბერნიის სხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში (თუ ასეთები არიან),

გ) აგრეთვე ამიერ-კავკასიის ქალაქებსა და დაბა-სოფლებში და

დ) უერთდება მთელი რუსეთის თავის მსგავს სხვა კავშირებს, რისთვისაც გზავნის თავის წარმომადგენლებს რუსეთის საერთო სიეზდებზე, რომელთა დადგენილებებს ის ემორჩილება.

§ 4. იმავე მიზნით კავშირი:

ა) ხელმძღვანელობს გაფიცვებს,

ბ) ეხმარება თავის წევრებს ყოველგვარ გასაჭირში: უმუშევრობის, ავადმყოფობის და რწმენისათვის დასჯა დევნის დროს და

გ) მართავს სამუშაოს მოსაძებნ ბიუროს თავის წევრთათვის, ან ყველა იმათთვის, ვინც, შემდეგ ადგილის შოვისა, გახდებიან წევრათ.

§ 5. თავის წევრთა გონებრივ და ზნეობრივ ასამაღლებლათ, აგრეთვე კლასიურ თვით-შეგნების განსავითარებლათ კავშირი:

ა) მართავს კრებებს, მიტინგებს;

ბ) აწყობს ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს,

გ) ხსნის თეატრს, მართავს წარმოდგენებს.

დ) მართავს საღამოს და საკვირაო სკოლებს, კურსებს უფრო მომზადებულთათვის, კლუბებს, რეფერატებს, ლექციებსა და სხვა სასარგებლო და სასიამოვნო გასართობებს.

§ 6. კავშირი აღიარებს პროლეტარიატის პოლიტიკურ პარტიის პროგრამას თავის მაქსიმუმით და მინიმუმით, ესე გი, პროგრამა მაქსიმუმით,—პროლეტარიატის პოლიტიკური დიქტატურის შემწეობით შეცვლას თანამედროვე ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წეს-წყობილებისა—სოციალისტურად,—და ამისათვის პროგრამა-მინიმუმით, ყოველივე იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს, რაიც აღნიშნულია ამავე ნაწილში მუშათა პარტიის პროგრამისა.

§ 7. სხვა მოთხოვნათა შორის კავშირი მიაქცევს მთავარ ყურადღებას: ა) 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას (ან თუ შემოღებულია, მის დაცვას,—შენარჩუნებას), ბ) 1 მაისის დღესასწაულის შენარჩუნებას, გ) ზედ მეტი მუშაობის მოსპობას, დ) მოზარდთა 16 წლამდე სამუშაოზე მიღების აკრძალვას, ე) ღამით მუშაობის აკრძალვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ტეხნიკურათ აუცილებელია. ხელფასის მომატებას, ვ) შრომის ბირჟის დაწესებას და მრავალ სხვა ზომებს შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ და თავის წევრთა მოქალაქობრივ უფლებათა დასაცველათ.

§ 8. პროლეტარულ სოლიდარობის განსამტკიცებლათ და მათ მოქალაქობრივ უფლებათა დასაცველათ კავშირი—ა) უერთდება ქალაქ თბილისში სხვა ახლობელ მსგავს კავშირებს, ბ) თბილისის ყველა პროლეტარულ კავშირებთან ერთად აწყობს საერთო წარმომადგენელთა დაწესებულებას—მუშათა დეპუტატების საბჭოს—ოთხ-ფორმულიან და პროპორციონალურ არჩევის წესების საფუძველზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ პირდაპირი არჩევნები შეუძლებელია, კავშირი ორ-სართულიანი არჩევნებით გზავნის ერთ დეპუტატს თბილისის პროფესიონალურ კავშირების მუშათა დეპუტატების ცენტრალურ საბჭოში.

III. კავშირის შედგენილობა.

წევრთა უფლება და ვალდებულება.

§ 9. კავშირის წევრია ყველა მუშა მაგარ სასმელების ქარხნების ან მის მსგავსთა, ვინც-კი საწევრო ფული ერთი მანეთი (1 მ.) შემოიტანა და ყოველთვე იხდის ჯამაგირის $2^1/_2$%-ს.

§ 10. არ შეიძლება იყოს კავშირის წევრათ: ა) ხაზეინი, ბ) მათი მოურავები, გ) ისეთი მოსამსახურენი, რომელთაც ხაზეინის მოგებაში წილი უძევთ, ან პროცენტებს ღებულობენ, დ) ისეთი მუშები, რომელნიც ზნეობრივის მხრით ჩირქ-მოცხებულნი არიან და კავშირს სახელს გაუტეხს მათი წევრობა (რასაკვირველია, დროებით, სანამ გასწორდებოდეს).

§ 11. თვითოეულ წევრს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს კავშირის ყოველგვარ საკითხის გარკვევაში; აგრეთვე აქვს ერთი ხმა და არა აქვს უფლება სხვას გადასცეს თავისი ხმა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თვითოეული წევრი ამრჩევიცაა და მასთან უფლებაც აქვს არჩეულ იქმნეს კავშირის ამა თუ იმ დაწესებულებაში, ესე იგი, აქვს აქტიური და პასიური უფლება ერთგვარათ.

§ 12. თვითოეული წევრი ვალდებულია დაემორჩილოს კავშირის საზოგადო კრების დადგენილებებს, სხვა-და-სხვა მის დაწესებულებათა განკარგულებებს; თვითოეული წევრი უნდა ხელს უწყობდეს კავშირის მიზნის განხორციელებას და ამისათვის ეწეოდეს პროპაგანდას, აგიტაციას და ეხმარებოდეს ორგანიზაციას, შეძლებისა და შეგნების მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ვინც წესდებას არ ემორჩილება და ვნება მოაქვს კავშირისათვის ზნეობრივი თუ მატერიალური—ის სათანადო დაწესებულების-მიერ გამოირიცხება კავშირიდან. გამორიცხულს შეუძლია მოითხოვოს გასამართლება საამხანაგო თუ სამედიატორო სასამართლოს საშუალებით.

§ 13. წევრი, რომელსაც ორი თვის საწევრო ფული არ შეუტანია, გარდა თავის-უნებურად უმუშევრად დარჩენილთა,

აგრეთვე ირიცხება კავშირიდან, (რასაკვირველია, დროებით, სანამ შემოიტანდეს გაცდენილ თვეების შემოსატანს).

§ 14. კავშირიდან გასულს ნებსით თუ უნებლიეთ, —არ უბრუნდება არც ერთდროული შემოტანილი ფული და არც თვიური.

IV. კავშირის საშუალებანი.

§ 15. კავშირის საშუალებას შეადგენს:

ა) ერთდროული საწევრო შემოსატანი,

ბ) ყოველთვიური შემოსატანი,

გ) სხვა-და-სხვა საქმეებისაგან შემოსული,

დ) შემოწირულებანი და

ე) ყველა თანხების მოგებანი.

§ 16. ყველა შემოსავალი კავშირისა უნდა განაწილდეს ამგვარათ:

1. ბრძოლის (გაფიცვის) „ხელშეუხებელ ფონდათ გადადება კავშირის მთელი კასის 75%, 2. 10%—დამხმარე ფონდათ, 3. 5%—მართვა-გამგეობის ხარჯათ და 4. 10% თბილისის პროფესიონალურ კავშირების მუშათა დეპუტატების ცენტრალურ საბჭოს კასაში უნდა იქნეს შეტანილი ყოველთვე.

V. კავშირის გამგეობა.

§ 17. კავშირის საქმეებს განაგებენ: 1. წევრთა საზოგადო კრება, ან მათი წარმომადგენელნი 2. დელეგატთა კრება ან კავშირის დეპუტატების საბჭო და 3. სხვა საჭირო დაწესებულებანი ან კომისიები, როგორც, მაგალითად, აღმასრულებელი კომიტეტი, ან ბიურო.

§ 18. საზოგადო კრება ყველა წევრთა ან მათ წარმომადგენელთა ყოველ ექვს თვეში ერთჯერ ხდება და მის განხილვას ექვემდებარება საკითხი და საგანი კავშირისა,—მას აძლევენ ანგარიშს კავშირის ყველა დაწესებულებანი.

§ 19. დეპუტატების საბჭო ირჩევა საზოგადო კრებაზე, ყველა წევრთა ან წარმომადგენელთა კონფერენციაზე—თვითოეული ათიდან ერთი დელეგატი—ექვსი თვის ვადით.

შენიშვნა 1. თუ პირდაპირი არჩევნები შეუძლებელია, მაშინ შეიძლება არჩევნები მოხდეს ორ-სართულიანი.

შენიშვნა 2. ამრჩეველთ შეუძლიათ უკან გაიწვიონ თავიანთი არჩეული და სხვა გამოგზავნონ. აგრეთვე უნდა მოიქცენ ამრჩეველნი მაშინ, როცა საბჭოს უმრავლესობა მოითხოვს რომელიმე დეპუტატის გამოცვლას.

§ 20. დეპუტატთა საბჭო იკრიბება ყოველ კვირაში ერთჯერ.

შენიშვნა. საბჭო თავის წევრთა შორის ირჩევს აღმასრულებელ კომისიას, ან ბიუროს—ხუთი კაცისაგან: თავმჯდომარისა, მისი ამხანაგისა, კასირისა (ხაზინადრისა), მისი ამხანაგისა და სეკრეტრისაგან; საბჭო ირჩევს აგრეთვე სხვა საჭირო კომისიებს და აგენტებს.

§ 21. აღმასრულებელი კომისია ყოველ დღე იკრიბება და სისრულეში მოყავს საბჭოს ყოველივე დადგენილება.

§ 22. არაჩვეულებრივი კრებები—საზოგადო—ყველა წევრთა და მათ წარმომადგენელთა და დეპუტატების საბჭოსი ხდება აღმასრულებელ კომისიის გადაწყვეტილებით, საბჭოს წევრთა ერთი მესამედის (1/3) მოთხოვნით და კავშირის წევრთა ერთი მეხუთედის (1/5) განცხადებით: პირველის—საზოგადოსი—არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან განცხადებისა, ხოლო მეორესი—საბჭოსი—არა უგვიანეს ორი დღისა.

§ 23. აღმ. ბიურო პასუხის-მგებელია საბჭოს წინაშე, საბჭო პასუხის-მგებელია საზოგადო კრების წინაშე; პირველი—ბიურო,—როგორც კავშირის სხვა ყველა დაწესებულებანი და აგენტები, მოქმედებს წესდებისა და საბჭოს ინსტრუქციის თანაახმად; მეორე კი—საბჭო წესდებისა და საზოგადო კრების დირექტივებით ხელმძღვანელობს.

შენიშვნა 1. საბჭო, კავშირის ორი წევრის რეკომენდაციით, იღებს ახალ წევრებს; კავშირიდან რიცხავს იმათ, ვისაც კავშირისთვის ვნება მოაქვს—ზნეობრივათ ან მატერიალურათ. ყოველივე ამის შესახებ საბჭო ანგარიშს აძლევს მახლობელ საზოგადო კრებას.

შენიშვნა 2. საბჭო წინადადებას აძლევს ბიუროს ყოველთვე გამოსცეს კავშირის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რომელიც წინდაწინ მის-მიერ შემოწმებული და დამტკიცებული უნდა იქნეს.

VI. საზოგადო წესები.

§ 24. ყველა კრებები—საზოგადო, საბჭოსი, აღმასრულებელ კომისიის და კავშირის სხვა დაწესებულებათა უნდა ჩაითვალოს კანონიერად მხოლოდ მაშინ, როცა წევრთა 2/3 დაესწრება.

შენიშვნა. წევრთა კანონიერ რიცხვის გამოუცხადებლობის მიზეზით, კრება მხოლოდ ერთჯერ გადაიდება,—შემდეგი კრება მაინც კანონიერად უნდა ჩაითვალოს, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს მას.

§ 25. ყველა კრებაზე კითხვები წყდება უბრალო ხმის უმეტესობით, გარდა წესდების შეცვლისა და კავშირის დახურვისა, რისთვისაც საჭიროა 2/3 ყველა წევრთა.

—

P. S. ეს პროექტი წესდებისა მიღებულია თბილისის მაგარ-სასმელების ყველა ქარხნების დელეგატების-მიერ. კრებას 13 დელეგატიდან დაესწრო 11. ამათ ერთხმად მიიღეს ეს. მხოლოდ სარაჯიშვილის ვერის ქარხნის მუშების (24—25-დე) წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იქაურ მუშებს არ სურთ კავშირში შემოსვლაო. სამწუხაროა ასეთი შეუგნებლობა სარაჯიშვილის მუშებისა ვერიდან. იმედია შეგნებული ამხანაგები ეცდებიან ჩქარა შეასმინონ მათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირს მუშათათვის. კავშირში შემოსვლა არ უნდა დაიყოვნონ მათ. ეს თვით მათთვისაა უფრო საზარალოდ მავნებელი...

—

ცოტა რამ მუშათა ცხოვრებიდან.

(უძღვნი ამხ. „კახეთიას“ მუშებს და მის გამგეობას)

იყო დრო, როცა „კახეთიას“ მუშები ათ-თორმეტ და ხშირათ 15 საათსაც მუშაობდენ. მაგრამ, თანამედროვე მუშათა მოძრაობამ აქაც, ამ ნესტიან სარდაფებში, შეაშუქა თავისი ძლევა-მოსილი სხივები და აქაურ მომუშავეთ სტიქიურათ—ძალაუნებურათ ჩაუსახა ადამიანური მოთხოვნების წამოყენება მათ ექსპლოატატორ ხაზინების წინაშე, როგორიც არის, მაგალითად, სამუშაო დროის შემცირება, შრომის ხელფასის მომატება და ზოგიერთ სხვა უფლებების მოპოებაც.

გასულ, 1905 წელს „კახეთიის“ მუშებს ჰქონდათ გაფიცვა, რაც რამდენიმე თვე გაგრძელდა. გაფიცვას ხელმძღვანელობდა თბილისის მუშათა ორგანიზაცია რ. ს. დ. მ. პარტიისა. თუმცა „კახეთიის“ მომუშავეებმა და კანტორის მოსამსახურეებმა, ბევრმა მათგანმა (მცირე გამონაკლით) გამოიჩინეს გაფიცვაში ამხანაგების ღალატი, მაგრამ, შეგნებული

ამხანაგებისა და მაგარი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გაფიცვა სრული გამარჯვებით გათავდა; ასე რომ მათ მოიგეს, როგორც ეკონომიური მოთხოვნები, ისე ზოგი უფლებებიც, —მაგალითად, 8 საათის სამუშაო დღე. სამუშაო ხელფასის მომატება, წლის განმავლობაში ერთი თვით დასვენება ჯამაგირის შენახვით, მოწყობა სასადილოსი, მზარეულისა, ჩაი და შაქარი, აბანო, ექიმი და წამლობა, ნორმალური შრომის გაწევა და ზრდილობიანი მოპყრობა, და მუშებისა და მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის უფლებები და სხვა. მაგრამ, საჭიროა მოვაგონო ,,კახეთიის'' ამხანაგ-მუშებს,—დაიფასეს და მოიხმარეს ეს მათი და შეგნებული ამხანაგების ბრძოლით მოპოებული უფლებები?! ე. ი. შეხვდენ ამ გამარჯვებას ,,კახეთიის'' მუშები შეგნებულათ და მოიხმარეს ის ან და სარგებლობს ისე, როგორათაც ამას თვითოეულ მოთხოვნათა მუხლები გამოხატავენ? - აი, ის საკითხი, რომელზედაც მინდა ვამხილო ,,კახეთიის'' ამხანაგებს (და მაგგვარ სხვებსაც და ცოტა-ოდენი ვილაპარაკო ამაზე. მაგალითად, ავიღოთ მოთხოვნების ის მუხლი, საცა სწერია—ერთი თვით შესვენება ჯამაგირის შენახვით. სარგებლობენ თუ არა ამით თანაბრათ თვითოეული მუშა-ამხანაგები ხაზეინებიდან? სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ ნახევრათაც არა. იმის მაგიერ, რომ დასასვენებლათ წასულ ამხანაგის ადგილზე მუშებმა დროებით მიიღონ სხვა უმუშევართაგანი, რომელთა რიცხვი ასე მრავალია თბილისის ქუჩებზე, იგინი თვითონ მუშაობენ და თვითვე ეწევიან ამ ზედმეტ მუშაობას. აქედან გამოდის, რომ მუშებს მუშებიდან მოუგიათ ერთი თვით დასვენება ჯამაგირის შენახვით და არა ხაზეინებისაგან (აცა სიმართლე უნდა სთქვას, რომ ზოგიერთი ამხანაგები ორი თვითაც კი სარგებლობენ და ზოგი კი სულაც ვერა)!

მეორე მაგალითი. ეს რამდენიმე ხანია „კახეთიის" საზაგადოების ოპერაციამ შესამჩნევათ იმატა, თითქმის ორჯერ მეტათ. საჭირო იყო მუშა ხელიც მიმატებოდა, რომ ნორმალური შრომა გაეწიათ მომუშავეებს და მასთან შრომის ნაყოფიც უფრო სუფთა და სავარგისი ყოფილიყო „საზოგადოებისათვის". მაგრამ, ვეკითხები ერთსაც და მეორესაც: აღასრულეს-კი, ან კიდევ, დაიფასეს და შეასრულეს ის მუხლი, რომელშიაც სწერია: ნორმალურ პირობებში მუშაობა და მუშების მიღება-დათხოვნა მუშების საქმეაო? კიდევ უნდა ვსთქვათ რომ არა, არ აუსრულებიათ, არც ასრულებენ. მაგალითი. ხშირათ ხდება კიდევ, რომ ამა თუ იმ საქმეზე მუშა ხელია საჭირო, რასაც წარმოების აუცილებლობა თხოულობს; იმის მაგივრათ, რომ მომუშავეთა რიცხვს მოუმატონ და ნორმალური შრომა გასწიონ, ამხ. მუშები უხირდებიან ერთმანეთს, დავობენ იმის შესახებ თუ არა ერთის და არა მეორის ნაცნობ-ნათესავი მიიღონ და, ასე, ბოლოს, არც ერთი და არც მეორე არ არის მიღებული სამუშაოზე' ხოლო ლანძღვა-გინება, მუშტის მოღერება და ზოგჯერ წალაწუნებაც—ეს ხომ ჩვეულებრივია აქ, სამწუხაროთ!.. ამით კი, ხაზეინებს მხარს უჭერენ და თითონ უზომო ტანჯვა-ჯაფას ეწევიან, ორი კაცის საქმეს ერთი კაცი ამუშავებს. აქედან ისიც ცხადია, რომ საქონლის უვარგისობა და უსუფთაობა აქედან გამომდინარეობს. „კახეთიის" მუშებსა და „საზოგადოების" გამგეობასაც, მათი წარმოების კარგათ წაყვანისათვის, რომ შრომის დარგი განაწილებული ჰქონოდათ, რომ თვითოეული სპეციალურათ თილებული საქმეს ამუშავებდეს,—მაშინ მუშა ხელის მიმატების აუცილებლობაც თავისთავათ გამოჩნდებოდა და საქონლის უვარგისობაც მოისპობოდა. მაგრამ, აქ ასეთი „ანარხიული'' მუშაობაა, დღეს ერთია ერთ საქმეზე, ხვალ—მეორე და ასე მუდამ, და ძალლის თავიც სწორეთ აქ მარხია! მუშა ხელის არ-გამრავლების საიდუმლობაც აქ იმალება,—ეს არც ხაზეინისთვის არის მაინცა და მაინც სასარგებლო და მუშებისათვის ხომ საზარალოა და საზარალო. გამგეობა, რასაკვირველია, არასოდეს არ გამოამჟღავნებს, ხოლო მეორეთათვის (მუშებისათვის), სანამ ვერ შეიგნებენ მტკიცეთ თავის ინტერესებს, საიდუმლო და ბნელი იქმნება ეს გამოცანა შრომისა.

აქედან ისიც ცხადია, რომ მუშების ასეთი მოქცევა დაუფლებების არა ღირსეულათ მოხმარა წელს უმაგრებს ხაზეინებს და ლუკმა პურს ართმევს ქუჩაში დარჩენილ—შეიძლება საუკეთესო მებრძოლ ამხანაგებს. მოიგონეთ, ამხანაგებო, ამ უკანასკნელ სამი თვის „კახეთიის" მუშებისა და ამ მოკლე დროში ლ. მადერის მუშების საქციელი! როგორ უარ-ყოფდენ მუშების მოთხოვნებს და როგორ უჭერდენ მხარს ხაზეინს, რასაკვირველია, შეუგნებლათ. არ შემიძლია, არ აღვნიშნო კიდევ, რომ მთელ თბილისს გაზაფხულის ყვავილებთ მოედო პროფესიონალური კავშირები, ხოლო ჩვენს დალოცვილ ,,კახეთიის" მუშებში ესეც მიძინებულია და წრეებში მეცადინეობაც კიბოს ნაბიჯით მიდის. ხოლო წითელ ნუნუას (ღვინის) გადაჰაჩვა-კი ჩანჩქერივით მიჩხრიალებს!..

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ჩემს ფაქტიურ შენიშვნებზე, შეიძლება, ამხანაგებმა მისაყვედურონ და თქვან: რა მოგიციათ ჩვენთვის, რომ თხოულობთო; ან-და ყველანი ხომ საყვედურის ღირსი არა ვართო.—ერთი შეხედულობით გეთანხმებით, ამხანაგებო, მა რამ ასეთი პასუხი მუშებს არ გვიხსნის ჩვენი ტანჯული ცხოვრებიდან. მოიგონეთ ის დიდებული და ჭეშმარიტი სიტყვები ჩვენი მოძღვრებისა, რომ „მუშათა საქმე მუშამ უნდა გააკეთოს", რომ მუშების ტანჯვიდან განთავისუფლება მუშების ხელით უნდა მოხდეს. აი, დადგა დრო რომ ეს უნდა შევიგნოთ, ჩვენ დადგა დრო, ჩვენი სიბნელიდან ამოსვლისა, ხოლო ეს კი ჩვენი ენერგიული და შეგნებული მაცადინეობით შეიძლება! ამისათვის მიუთითებ ყველა ამხანაგებს, რომ ჩამოიბერტყონ ყოველი ყალბი შეხედულებანი თავიანთ თავიდან და ფხიზლათ შეხვდენ თანამედროვე ცხოვრების წინსვლის განვითარებას. ამხანაგებო მუშებო! წავიდა „აპეკუნობის" დრო! ჩვენზე „აპეკუნობა" ჩვენს შეგნება-განვითარებას შეუძლია და ამ მოვალეობის შესრულება ჩვენს მოწინავე შეგნებულ ამხანაგებს აკისრია. მაშ, ჩვენც მათთან ერთად ვიმეცადინოთ, შევერთდეთ, შევკავშირდეთ პროფესიონალურ კავშირში, —მუშათა პარტიაში, იმ პარტიაში, რომლის წითელი დროშის ქვეშ თავმოყრილი არის მთელი პროლეტარიატი, მთელი ქვეყნის მუშები; ისინი ერთათ აკავშირებენ თავიანთ ძალებს, უძლეველ ძალათ ხდებიან, რომ მოსპონ ადამიანის ადამიანისაგან ყვლეფა-ძარცვა და მის მაგიერ დაამკვიდრონ ამ ქვეყნად ნამდვილი „სამოთხე"—სოციალისტური წესწყობილება... მხოლოდ აქაა, ამხანაგებო, ჭეშმარიტი ერთობა, ჭეშმარიტი ძმობა, ამხანაგობა და სიყვარული! მაშ, შევუდგეთ ჩვენც საქმეს!

ძველი მუშა № 40.

თბილისის თონის პურის-მცხობელ მუშათა კავშირი. იყო დრო და მას აქეთ არც ისე დიდი ხანია, როცა თონის პურის-მცხობელი მუშები დღეში თოთხმეტ-თექვსმეტ და ხან მეტ საათს მუშაობდენ; მათთვის არ იყო მოსვენება, ხეირიანი ბინა, ზრდილობიანი მოპყრობა; ხაზეინის საქმე იყო მუშის

მიღება და დათხოვნა, ხაზეინის ხელში იყო მუშის ბედი და იღბალი, ის მეფობდა მუშებზე. მარა, დრონი იცვალენ. თონის პურის-მცხობელი მუშებიც შეერთდენ, კავშირი შეჰკრეს. ეს იყო ამ წლის თიბათვის დღეებში, როცა მათ მოთხოვნები შეიმუშავეს, ხაზეინებს წარუდგინეს და კიდეც გაიფიცენ. სამი დღის გაფიცვა მუშების სრული გამარჯვებით გათავდა. მოიპოვეს ცხრა საათის სამუშაო დღე, მოიმატეს სამუშაო ქირა; დღეს მუშების მიღება და დათხოვნა მუშების საქმეა და არა ხაზეინის, როგორც ეს წინეთ იყო, და სხვ... მარა, რეაქციით ზურგ-გამაგრებული ზოგიერთი უსინიდისო ხაზეინები ურცხვათ არღვევენ ბრძოლით მოპოვებულ უფლებებს: შეგნებულ, ,,ბუნტოვჩიკ'' მუშებს ქუჩაში ისტუმრებენ და წინანდებურათ განაგრძობენ ბატონობას. მარა, იცოდეთ, ბატონო ხაზეინებო, რომ სულ ასე არ იქნებით. რეაქციასაც ბოლო მოეღება და მაშინ მუშები გაათკეცებული ენერგიით მედგრათ გამოილაშქრებენ თქვენს წინააღმდეგ! და ეს ჟამი აღარც ისე შორს არის, როგორც თქვენა გგონიათ. თონის პურის-მცხობელ მუშათა კავშირის ბიურო ენერგიულათ განაგრძობს ერთხელ დაწყებულ საქმეს. დღეს კავშირში სულ 350 წევრი ითვლება. კავშირს აქვს წესდება. კასაში 350 მანეთამდეა. კავშირი თანაუგრძნობს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და აუცილებლათ საჭიროთ სცნობს იმოქმედოს მის ხელმძღვანელობით და მის დროშის ქვეშ.

აპოლონ.

რ უ ს ე თ ი.

—

15 ნოემბრის კანონი და მოსკოვის ნოქრები. ამ ბოლო დროს მეტის-მეტ ზრუნვაშია რუსეთის მთავრობა. თითქოს მეტის-მეტათ შეაწუხა ის მუშათა აუტანელმა მდგომარეობამ და ბოლოს იმდენი კაცთ-მოყვარეობა გამოიჩინა, რომ 15 ნოემბერს გამოსცა კანონი. ამ კანონის ძალით განსაზღვრულია სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის სამუშაო დრო. ამავე დროს, კანონის ძალით, ხაზეინებს უფლება ეძლევათ დააკისრონ მოსამსახურეებს სხვა-დასხვა სავაჭრო დაწესებულებებში ზედმეტი სამუშაო.

მთავრობის ასეთ წყალობას, მადლობის მაგიერ, დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია მოსკოვის ნოქრებში. საქმე იმაშია, რომ ამ კანონს „დათვური სამსახური" გაუწევია ნოქრებისთვის. გამუდმებული ბრძოლით, მოსკოვის ნოქრებმა მოიპოვეს კვირა-უქმე დღეებში დასვენება და ნორმალური სამუშაო დღე. 15 ნოემბრის კანონით-კი სამუშაო დღე გრძელდება და ზედ-მეტი მუშაობა ისევ ევალებათ მოსამსაურეებს. ერთი სიტყვით, მთავრობის ზრუნვა პირდაპირ საზარალო გამოდგა მოსამსახურეთათვის. ამ დღეებში მოსკოვის ნოქრების კავშირს მოუხდენია კრება და შემდეგი რეზოლიუცია გამოუტანია: „რადგან ეტვს გარეშეა, რომ მთავრობის კანონი სავაჭრო-სამრეწველოებში მოსამსახურეთათვის სამუშაო დღის განსაზღვრისა იმ აზრით არის გამოცემული, რომ მიიმხრონ მოსამსახურეები არჩევნების დროს—მთავრობის პარტიას მისცენ ხმა, ჩვენ მოსკოვის ნოქრებმა და აფთიაქის მაღაზიაში და საწყობებში მოსამსახურეებმა განვიხილეთ რა ეს კანონი, დავინახეთ, რომ ის ჩვენ არაფერს არ გვაძლევს; ამიტომ ვაფრთხილებთ ყველა ჩვენ ამხანაგებს,—არ მისცენ ხმა მთავრობის პარტიას, არამედ, რომელიც ნამდვილი წარმომადგენელია მუშათა კლასის." ასე უყურებენ ამ კანონს სხვა სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეებიც.

—

საამშენებლო მუშათა პროფესიონალურ კავშირების სრულიად რუსეთის კონფერენცია. ამ რამდენიმე ხნის წინათ საამშენებლო მუშათა პროფესიონალურ კავშირებში კითხვა აღიძრა—მოეწვიათ სრულიად რუსეთის კონფერენცია. ეხლა კონფერენციის მომწესრიგებელი კომისია ბეჯითად შესდგომია საქმის მოწყობას. მას უკვე მიუღია ცნობები სარატოვიდან, ნიჟნი-ნოვგოროდიდან, ხარკოვიდან, ადესიდან, კიევიდან და ვილნოდან. იქაური კავშირები დიდის სიხარულით მიგებებიან ამ ამბავს და სურვილს აცხადებენ კონფერენციაზე დასწრებისას. აზრათ აქვთ კონფერენცია 1907 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მოიწვიონ.

მოსკოვის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუროს კრება. ამ დღეებში მოსკოვის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუროს კრება ქონდა. ამ კრებაზე პირველათ განიხილეს საექიმო დახმარების საკითხი. როგორც საექიმო კომისიის მოხსენებიდან ჩანს, საექიმო დახმარება მოსკოვში მეტათ ცუდ მდგომარეობაშია. მუშების უმრავლესობას შეძლება არა აქვს მიმართოს ავათმყოფობის დროს ექიმებს და ისარგებლოს ქალაქის საავათმყოფოებით. კომისიამ წინადადება შეიტანა ქალაქის ყოველ ნაწილში—შეადგინონ ექიმთა ჯგუფი, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს კავშირების ყველა წევრებს. რომ ამ საქმეს ქველმოქმედებითი ხასიათი არ მისცემოდა, კომისიამ გადასწყვიტა ასე მოაწყონ საქმე: თითო ავათმყოფზე რჩევისათვის ექიმებს ეძლევათ 25 კ., როცა სახლში მიდის ავათმყოფთან—50 კ., როცა ავათმყოფობა დიდხანს გრძელდება მაშინ განსაკუთრებულ ფასს აძლევენ. ცენტრალურმა ბიურომ მიიღო ეს წინადადება და დაავალა კომისიას,—მოლაპარაკება გამართოს ექიმებთან.

—

მოსკოვის სავაჭრო-სამრეწველოებში მოსამსახურეთა განცხადება. მოსკოვის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირის გამგეობის წევრებს შემდეგი შინაარსის განცხადება შეუტანიათ ქალაქის გამგეობაში:

„რადგან ჩვენი საზოგადოება, რომელიც სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების ყველა დარგის მოსამსახურეთა შემაერთებელი ორგანოა, მეტათ დაინტერესებულია, თუ როგორ გატარდება ცხოვრებაში მთავრობის-მიერ 15 ნოემბერს გამოცემული კანონი, ამიტომ ვთხოვთ ქალაქის გამგეობას მოიწვიოს კომისია სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების საზოგადოებათა წარმომადგენლებისაგან ამ საჭირბოროტო კითხვის გადასაწყვეტათ და იმ ზომების შესამუშავებლათ, თუ როგორ უნდა გატარდეს 15 ნოემბრის კანონი ცხოვრებაში''.

—

პეტერბურგის ქალაქის გამგეობა და დაშავებული მუშები. 27 ნოემბერს პეტერბურგის ქალაქის გამგეობაში მისულა პეტერბურგის საზოგადო სამუშაოებზე დაშავებულ მუშათა დეპუტაცია და მოუთხოვია დაეჩქარებიათ დახმარების მიცემა. სულ დაშავებულა ცხრა მუშა, ორი მათგანი უკვე გარდაცვლილა. ქალაქის გამგეობას უკან გამოუსტუმრებია დეპუტაცია, წადით და დამხმარე კომისიას მიმართეთო. კომისია კიდევ ქალაქის გამგეობისკენ ერეკება თურმე. ამგვარათ საბრალო დასახიჩრებული მუშები ხან ქალაქის გამგეობაში მი-

დიან და ხან კომისიასთან, მაგრამ არც ერთი და არც მეორე არავითარ დახმარებას არ აძლევს.

—

პეტერბურგის მუშები და არჩევნები. 26 ნოემბერს პეტერბურგში მოხდა კრება ვიბორგის რაიონის მუშებისა. ამ კრებაზე განიხილეს საკითხი მომავალ სახელმწიფო დუმის არჩევნების შესახებ. საინტერესო იყო ეს კრება, რადგან იქ ნათლათ გამოირკვა, თუ როგორ უყურებენ მუშები არჩევნებს. მიუხედავათ იმისა, რომ ბეჯით აგიტაციას ეწევიან, მუშა-ორატორების სიტყვით, მუშათა უმრავლესობა მაინც გულგრილათ უყურებს მომავალ არჩევნებს. ასეთ გულგრილობის მიზეზი-კი ის არის, რომ მათ არა აქვთ თავისუფლება კრებისა და აგიტაციისა, აგრეთვე ისაა მიზეზი, რომ მუშებს იმედი აღარა აქვთ მეორე დუმისა. ორატორები მოუწოდებდენ მუშებს, შეერთებულიყვენ და შეერთებული ძალით გაეტეხათ რეაქციონერები. ორატორების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ მასსა განურჩევლათ უყურებს მემარცხენე პარტიების ბლოკს. თუ კი ოპოზიციონური პარტიების მიზანი ერთი და იგივე იქნება დუმაში, იმ შემთხვევაში მათი ძალა სოლიდარობაშიაო, ამბობენ მუშები.

პეტერბურგის ზავოდების დახურვა. ამ უკანასკნელ ხანებში ხმა გავრცელდა, რომ ადმინისტრაციას აზრათ აქვს 15 დეკემბრიდან დახუროს პეტერბურგის ზოგიერთი ზავოდები. ზავოდები დაიხურება ორი-სამი თვით. ორი თვის შემდეგ ზავოდები ისევ დაიწყებს მუშაობას,—მაგრამ პირობები მუშებისათვის სულ სხვა იქნება, ვიდრე ეხლა. ნაკლები სამუშაო ქირა და დიდი სამუშაო დღე. ზოგიერთ ზავოდების ადმინისტრაციას ამას გარდა აზრათ აქვს გაწმინდოს მუშები მათ მოწინააღმდეგე ელემენტებისაგან. მუშები მეტათ დააფიქრა ამ გარემოებამ.

—

„გმირი“ სალდათი და მუშები. ქალაქ ვიატკაში, რკინის გზის დეპოში, სამთო უფროსის განკარგულებით, სამუშაოთ მიიღეს „ცნობილ“ სემიონოვის პოლკის ერთი სალდათი, რომელსაც სამსახური უკვე გაუთავებია. ეგ არაფერი. სალდათი მიიღეს, მან მუშაობა დაიწყო. ერთ დღეს გაუწყრა ლმერთი და დაიწყო თურმე კვეხნა,—როგორ ენერგიულათ „მუშაობდა“ ის ხალხის დაწყნარების დროს, როგორ გაამგზავრა საქიოს რამდენიმე „კრამოლნიკი“ და სხვა.

გაიგეს თუ არა მუშებმა, ვინ არგუნა მათ ბედმა ამხანაგათ, ხელათ გამართეს თათბირი, დიდხანს კამათი არ დასჭირდათ, სთქვეს და გადასჭრეს კიდეც. მოითხოვეს დაუყოვნებლივ გაეგდოთ „გმირი“ სალდათი. თავის გადაწყვეტილება მუშებმა ცეხის უფროსს შეატყობინეს და თან დასძინეს: უკეთუ ადმინისტრაცია არ იზებებს სალდათის გაგდებას, მაშინ ჩვენ თვითონ ვიხმართ ზომებს მის გასაძევებლათო. რას იზამდენ!.. მუშების მოთხოვნა აასრულეს და სალდათი გააგდეს.

იმედ გაცრუებული სალდათი სხვაგან წასულა სამუშაოს საძებნელათ. სხვათა შორის ის მისულა სორმოვოში, სადაც ერთი მისი ძმა მუშაობს თურმე და უნდოდა მუშაობის დაწყება, მაგრამ, როგორც კი გაუგიათ მუშებს მისი ვინაობა, ველარც ძმას უშველია და ველარც ღმერთს, ხელათ გაუგდიათ.

ასე ეპყრობიან შეგნებული მუშები გონება დაბნელებულ სალდათს, როგორც ხალხის წინააღმდეგ მებრძოლს. ეტვს გარეშა, რომ თუნდაც მთელი რუსეთი შემოიაროს, „გმირ“ სალდათს ყველგან ასე შეხვდებიან მუშები და ბოლოს ისევ მთავრობა თუ უშველის და საიდუმლო პოლიციის აგენტათ მიღებს.

სტატისტიკა.

—

დღეს ყველანი—მტერი თუ მოყვარე, მჩაგვრელნი თუ დაჩაგრულნი გაფაციცებით შესცქერის პროლეტარიატის მოძრაობას და მასში ხედავს ძალას, რომელზედაც დამოკიდებულია დღევანდელ ცხოვრებაში ისტორიის ჩარხის ტრიალი. ამიტომაა, რომ ყოველივე მისი განძრევა შიშს ზარსა სცემს მშრომელი ხალხის მტრებსა და ორგულებს, სამაგიეროთ ასულდგმულებს და აღფრთოვანებს ტვირთ მძიმეთა და დაჩაგრულთ.

მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინათ, პროლეტარიატი რუსეთში მხოლოდ თითო-ოროლას ყურადღებას იქცევდა და მის არსებობაზე საზოგადოების დიდ უმრავლესობას წარმოდგენაც არა ჰქონდა.

რატომ იყო ასე? განა პროლეტარიატი არ არსებობდა მაშინ? განა რიცხვით ისეთი მცირე იყო, რომ ყურადღების ღირსიც არ ყოფილა იგი?—ასე იმიტომ იყო, რომ პროლეტარიატს სძინავდა, მაშინ ის არ იბრძოდა, თავის ძალას, თავის არსებობას თვითონვე არ გრძნობდა მაშინ. ნამდვილათ კი არსებობდა, რიცხვითაც მრავალი იყო და თავის შრომით, შეუგნებელი ჭაპან-წყვეტით მთელი ცხოვრების დედა ბოძი მაინც ის იყო. აი, რას გვეუბნება ჩვენ სტატისტიკური ცნობები ამის შესახებ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც ყოველივე სხვა რამ სასარგებლო მუშათა კლასისათვის, აგრეთვე სტატისტიკა, ისე ცუდათ არც ერთ განათლებულ სახელმწიფოში არ არის მოწყობილი, როგორც რუსეთში, მაგრამ კერძო შემთხვევითი, თუ მთავრობის ოფიციალური სტატისტიკური ცნობები მაინც საკმაოთ ააშკარავებს ბევრ საგულისხმო მოვლენებს—მუშათა რიცხვისა, მის მდგომარეობისა და საზოგადოთ, მისი ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეების შესახებ.

1897 წლის აღწერით მთელს რუსეთში მუშების რიცხვი უდრიდა მაშინ სულ 9 მილიონ 156 ათას 80 კაცს, ხოლო ოჯახის წევრებთან ერთათ 19 მილიონ 474 ათას სულს, ანუ მთელ მცხოვრებთა 15,5 პროცენტს, ესე იგი, ყოველ ას კაცზე მოდიოდა თითქმის 16 პროლეტარი, ანუ მუშა, მოკლებული ყოველგვარ ცხოვრების სახსარს გარდა, თავის სამუშაო ძალისა. ამათგან სასოფლო მეურნეობაში მუშაობით ირჩენდა თავს 2 მილიონი 722 ათას 890 კაცი; მრეწველობაში—2 მილიონი 598 ათას 379 კაცი; სავაჭრო დაწესებულებასა და ტრანსპორტში (საქონლის გადაზიდვის საქმეში) —626 ათას 606 კაცი; შავი მუშა და ხელზე მოსამსახურე—3 მილიონი 208 ათას 205 კაცი. ხოლო 1906 წელს პროლეტარიატის რიცხვი თავის ოჯახის წევრებით აღწევს 24 მილიონამდე, ანუ შეადგენს მთელ მცხოვრებთა 17 პროცენტს, ე. ი. ყოველ ას მცხოვრებზე 17 სული პროლეტარის ოჯახს ეკუთვნის.

მუშათა რიცხვში 1897 წელს 6 მილიონ 335 ათასამდე მამა-კაცია, ხოლო 2 მილიონ 821 ათასამდე ქალები. მატყლეულობის, ჩითეულობის, აბრეშუმეულობისა და საზოგადოთ, საქსოვ წარმოებაში მუშა ქალების რიცხვი მამაკაცების რიცხვს უდრის, ან მეტია. ხოლო ყველაზე ნაკლებათ მუშა ქალებს შეხვდებით რკინეულობის წარმოებაში, აქ ყოველ ას მუშაზე ორი ან სამია მუშა ქალი.

მცირე-წლოვან მომუშავეთა რიცხვის შესახებ ჩვენ გვაქვს 1900 წელს შეკრებილი ცნობები, ისიც წარმოების ზოგიერთ დარგში, რომელიც გვეუბნება, რომ წარმოების ამ დარგში ყოველ ას მუშაზე მოდიოდა 10-მდე მცირე-წლოვანი მუშა.

თუ როგორია მდგომარეობა ამ მრავალ მილიონ პროლეტარისა და მის ოჯახისა, ამაზე მჭევრმეტყველურათ მოწმობს შემდეგი ცნობები: რუსეთის უმთავრეს სამრეწველოებში, მაგალითად, მოსკოვის რაიონში, მამაკაცი ღებულობს თვიურათ საშუალო ხელფასს—13 მანეთსა და 53 კაპეიკს, ხოლო მუშა ქალი—10 მანეთსა და 56 კაპეიკს. ყველაზე მეტი ხელფასი მანქანების საკეთებელ წარმოებაშია, სადაც მუშა ღებულობს საშუალოთ 22 მანეთამდე თვეში, მაგრამ, სამაგიეროთ არის ისეთი წარმოება, სადაც 8 მანეთამდე ძლივს ღებულობს მამაკაცი, ქალი კი—ექვს-შვიდ მანეთამდე. თუ რამდენათ მცირე ხელფასს ღებულობს რუსეთის მუშა, უფრო ნათლად დავინახავთ, როდესაც სხვა ქვეყნის მუშების ხელფასს შევადარებთ. ამერიკის მუშა საათში ღებულობს 20-დან 38 კაპეიკამდე, რუსეთის მუშა კი იმავე დროს—4 დან 9 კაპეიკამდე, ანუ თვიურათ ამერიკის მუშა ღებულობს 60-დან 120 მანეთამდე, ზოგი კიდევ მეტს, მაგალითად, მექანიკები 120-დან 180 მანეთამდეც ღებულობენ. რუსეთის მუშა-კი, როგორც აღვნიშნეთ, თვიურათ საშუალო ხელფასს 13 მანეთამდე ღებულობს.

თავისთავათ ცხადია, რომ მუშის ცხოვრებაც ამ ხელფასის დაგვარათ იქნება მოწყობილი. ამავე სამრეწველო (მოსკოვის) რაიონში მუშა თითქმის მთელი წლის განმავლობაში იკვებება შავი პურითა და მცენარეულობით, მჟავე კაპუსტით, მჟავე კიტრითა და სხვა ასეთებით, ან იშვიათად ქონით გაკეთებული საჭმელით; ბევრ ადგილას მხოლოთ შავი პურითა და მწვანილეულობით იკვებებიან მთელის წლის განმავლობაში. ასეთსავე უნუგეშო მდგომარეობაშია რუსეთის მუშები სადგომების მხრივ: სძინავთ და ბინადრობენ ან სახელოსნოებსა და ქარხნებშივე, ან ქარხნებთან აგებულ ყაზარმებში, სადაც ერთს კაცზე საშუალო რიცხვით ნახევარი კუბიკური საჟენი ჰაერიც კი არ მოდის, ხშირათ ერთი მეხუთედი კუბიკური საჟენიც. ცხოვრობენ აგრეთვე დაქირავებულ სადგომებშიაც, რომელიც წარმოადგენენ უფრო ცხოველების, ვინემ ადამიანის სადგომებს; ცივი, აყროლებული და ნესტიანია ის სარდაფები, რომლის პატარა ოთახებში თავსდება ათისა და მეტის წევრისაგან შემდგარი ოჯახი! ამნაირათ, რუსეთის მუშას ხშირათ 5-ჯერ ნაკლები ჰაერი აქვს იმაზე, რაც აუცილებლათ საჭიროა ადამიანისათვის. სწორეთ ასეთი პირობების შედეგია ის ხშირი ავათმყოფობა და სიკვდილი, რომელსაც საერთოთ მუშათა კლასში აქვს ადგილი. ამიტომ არის, რომ რუსეთში შედარებით მეტი იხოცება, ვინემ ევროპის რომელიმე სხვა სახელმწიფოებში; მაგ. რუსეთში კვდება ყოველ ათას კაცზე 36-მდე; უნგრეთში—32 მდე, ავსტრიაში—29-მდე, გერმანიაში—25-მდე, საფრანგეთში—23-მდე, შვეიცარიაში—22-მდე, ინგლისში—19 მდე, ნორვეგიაში—16-მდე. ინგლისსა და ნორვეგიაში, როგორც ხედავთ, სიკვდილით შემთხვევა ორჯერ ნაკლებია, ვინემ რუსეთში. ავათმყოფობასა და სიკვდილის სიხშირეს რუსეთის მუშებ შორის, სხვა პირობებს გარდა, ხელს უწყობს ხანგრძლივი სამუშაო დღეც. მაშინ, როდესაც ევროპის სახელმწიფოებში რვა-ცხრა საათის სამუშაო დღე უკვე კარგა ხანია არსებობს, რუსეთში 12 და 14 საათის სამუშაო დღე ჩვეულებრივი მოვლენაა და უკანასკნელ დღემდის წარმოების ზოგიერთ დარგში სამუშაო დღე 14 და 16 საათამდე გრძელდება.

წერილი მოსკოვიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

მოსკოვში პროფესიონალური მოძრაობა დღითი-დღე იზრდება. პროფესიონალური კავშირები განსაცვიფრებელი სისწრაფით მრავლდებიან და მუშათა ფართე მასაში დიდი სიმპატია დაიმსახურეს.

კადეტებმა,—რომლებმაც თავის უკანასკნელ სიეზდზე დაადგინეს: ხელი შეუწყონ პროფესიონალურ მოძრაობას მუშებისას, სცადეს ჩარეოდათ პროფესიონალურ კავშირების ორგანიზაციის საქმეში, მაგრამ მათდა საუბედუროთ მძლავრათ და ერთ-სულოვანათ უპასუხეს: ,,შორს ჩვენგან, ხელი არ მოგვაკაროთ''. მუშების ასეთმა საქციელმა ძლიერ გააწიწმატა კადეტები, და ათას ცილისწამებას ავრცელებენ მუშათა პარტიის შესახებ; ვითომდა ნეიტრალობის სახელით ისინი პარტიულ პოლიტიკას აწარმოებდენ.

საწყალი ,,კლასთა გარეშე'' კიზიკეტერები! მათარ შეუძლიათ გაიგონ, რომ პროფესიონალური კავშირები შეიძლება იყვენ ნეიტრალური, მაგრამ ამავე დროს ნება აქვთ არ მიიღონ ბურჟუაზიული სამსახური კადეტების ბანაკიდან.

M.

წერილი რედაქციის მიმართ.

ჩვენ არა ერთხელ და ორჯერ გვსმენია ხაზეინების სიმკაცრე, სისასტიკესა და უსინდისობაზე: მაგრამ, ყველას გადააჭარბეს ბ. ბ. მალინოვსკიმ და დუმბაძემ, რომელთაც უჭირავს სასტუმრო „პეტერბურგი“ განჯაში. მოსამსახურეების მოთმინების ფიალა აივსო და ის იყო მოვახთინეთ კიდეც გაფიცვა მაისის პირველ-ნახევარ რიცხვებში. წარვუდგინეთ ხაზეინებს მოთხოვნები. გაფიცვა, როგორც იცით, დასრულდა მოსამსახურეების გამარჯვებით და შეგვპირდენ ყველა ამის შესრულებას. ერთი მოთხოვნა იყო ის, რომ თუ ვისმეს ჩვენგანს უმიზეზოთ დაითხოვდა ხაზეინები, უნდა მიეცათ სამი თვის ჯამაგირი,—მაგრამ, ეს სიტყვიერ დაპირებათ დარჩა და საქმით-კი სხვას ჩადიოდენ. როდესაც ამ ვაჟ-ბატონებს მოესურვებოდათ რომელიმე მოსამსახურეს დათხოვნა და აეცდინათ თავიდან სამი თვის ჯამაგირის მიცემა, ისინი წინდა-წინ მიმართავდენ პოლიციას და ისე ისტუმრებდენ მოსამსახურეს. ერთი ამგვარი მსხვერპლთაგანი მეც გავხთი. საქმე ასე იყო: მე ვმუშაობდი „კუხნაში“ მარტო და, რადგანაც იმდენი სამუშევარი იყო, რომ გაკეთებას ვერ ავდიოდი, რამდენჯერმე მოვსთხოვე ბ. ბ. ხაზეინებს, ერთი კაცი მოემატებინათ, მათ ჩემს თხოვნას ყურადღება არ მიაქციეს, მაშინ მეც გამოვედი მოთმინებიდან და გადაჭრით ვუთხარი, რომ უეჭველად კაცი მოეყვანათ. ბ. მალინოვსკი შემპირდა: „დღეს დუმბაძეს ტელეგრამით ვაცნობებ (დუმბაძე იმ დროს თბილისში იმყოფებოდა), რომ თბილისში კაცი გამოგზავნოს.“ მეც მართლა დავუჯერე. ბ. მალინოვსკი კი ამდროს წაბრძანებულა პოლიცმეისტერთან და გადაუცია: „ჩემი მზარეული „ბუნტოვჩიკია,“ სხვა მოსამსახურეებსაც—„მიბუნტებს“ და გთხოვთ,—რამე მიშველოთო. მართლაც, როგორც მოსალოდნელი იყო რამდენიმე საათის შემდეგ, მალინოვსკის მეთაურობით თავს დამესხენ პოლიცმეისტერი რამდენიმე სტრაჟნიკით;—დამიჭირეს და „ეტაპით“, სოფელში გამგზავრებას მიპირებდენ, როგორც „ბუნტოვჩიკს“ მაგრამ, ერთი პირის დახმარებით, რომელიც ამდროს იქ დაესწრო, ნება მომცეს ჩემის ხარჯით თბილისში წამოვსულიყავი... მხოლოდ იმ პირობით, რომ იმ ღამეს იქ არ გავჩერებულიყავი... ბ. მალინოვსკიმ სთხოვა პოლიცმეისტერს, სადგურამდი სტრაჟნიკები გამყოლოდენ. მე გეკითხები, ბ. ბ. მალინოვსკი და დუმბაძე! მაძლევთ თუ არა ორი თვის (ერთი თვის ჯამაგირი წინათ მქონდა ავანსათ მიღებული) ჯამაგირს—80 მ., ან მაძლევთ თუ არა პასუხს,—რაში გამოიხატებოდა ჩემი „ბუნტოვჩიკობა“, პოლიცას რომ მიმეცით ხელში? თუ ამ კითხვების პასუხით არ დამაკმაყოფილებთ, გიწვევთ სამედიატორო სამართალში, რომელიც გამოააშკარავებს ჩვენ-შორის დამოკიდებულებას. ველი პასუხს ერთი კვირის განმავლობაში.

ბ. დვალი.

რედაქტორ-გამომცემელი დ. გიგიბერია.

ელექტრონით მბეჭდავი „შრომა“ ამხ.—სა, მიხეილის ქ. № 65.